ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 4 (74) 3 მარტი 2009 სახალხო მოძრაობა "საქართველოს" ორგანო

გვესალმებიან მეგობრები

და "მოგვესალმენ" არამეგობრებიც

სრულიად საქართველოს მთლიანობისა და ერთიანობის სახალხო მოძრაობა "საქართველო", რომელიც 1999 წლის 5 მარტს დაფუძნდა ქალაქ ფოთში, 10 წლისაა

ალექსანდრე ჭაჭია

ტკივილი ტკივილად რჩება, დრო კი აღარ ითვლის... გვ.4-5





ნაწყვეტები ვ.ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"

ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

საქართველოს საამაყო შვილები სამეგრელოდან გვ.6-7

ისტორიული მასალები

წითელი წიგნი

პეტრე გელეიშვილი გვ.7-8

მიხეილ სააკაშვილი BBC-ის კორესპონდენტის თვალით

გაზეთი "ილორი" ხსნის რუბრიკას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც მოგითხრობთ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებზე. გვ.12

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

სრულიად საქართველოს მთლიანობისა და ერთიანობის სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" 10 წლისაა

საერთოდ, როცა სადმე რაიმე პროგრესული წამოწყება იბადება, ასევე პროგრესულ სამყაროს მისი გაჩენა სიხარულს უნდა გვრიდეს. მაგრამ, რომელ პროგრესზე და სიხარულზე შეიძლებოდა (თუგინდ დღესაც) საუბარი იმ ქვეყანაში, რომელსაც ბნელეთის მოციქული და კრიმინალებთან წილნაყარი ედუარდ შევარდნაძე განაგებდა. შესანიშნავ რუს მწერლებს ილია ილფსა და ევგენი პეტროვს თავიანთ უკვდავ ნაწარმოებში **"ოქროს კერპი"**, აქვთ ერთი ასეთი ფრაზა: **"პანიკოვსკის სიკვდილივით ეშინოდა ერთად თავმოყრილი რამდენიმე პატიოსანი ადამიანისა..."** ეშინოდა იმიტომ, რომ თავად თაღლითი და ჯიბიდან გავარდნილი ადამიანი იყო და მუდამ იმაზე ფიქრობდა: აგერ, ქუჩაში რომ მოდის, ის კაცი, როდისმე, რამეში ხომ არ მომიტყუებიაო. სწორედ ამიტომ დასცა თავზარი საქართველოს ხელისუფლებაში იარაღის ძალით მოსულ შევარდნაძეს და მის დანაშაულებრივ ხროვას უამრავი პატიოსანი ხალხის თავმოყრამ ფოთში, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** დამფუძნებელ ყრილობაზე, **რომელიც 1999 წლის 5 მარტს გაიმართა.**

ეს გახლდათ ჭეშმარიტი გაზაფხული, არა მხოლოდ კალენდარულად, არამედ საზოგადოების განწყობითაც.

თუმცა, ჩვენ მაშინ საკმაოდ მიამიტები აღმოვჩნდით, რადგან გვეგონა, რომ ის რაც სწყინს შევარდნაძეს, უდავოდ გაახარებდა ოპოზიციას. მაგრამ, ოპოზიციონერებიც ისეთივე მონდომებით წამოგვესიენ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები. სწორედ მაშინ ვირწმუნეთ, რომ ედუარდ შევარდნაძემ საფუძვლიანად გახრწნა ქართული პოლიტიკური სპექტრი, დანერგა არჩევნების გაყალბების პრაქტიკა და შექმნა საქართველოში ყალბი ოპოზიციური მოძრაობა, რომლის შედეგად ხელისუფლების წარმომადგენლებიცა და მათი ვითომ მოწინააღმდეგეებიც პოლიტიკური ბარიკადების ერთ მხარეს იდგნენ.

ანტისახელმწიფოებრივმა ძალებმა უცებ **"მოტვინეს",** თუ რა შეიძლებოდა მოყოლოდა მეგრელთა ერთიანი მიზნის გარშემო გაერთიანებას. სამეგრელოში იავარად მოთარეშე ბანდიტებმა, რომელთა ზურგს უკან იდგნენ შევარდნაძე და მისი **"ვეზირები"** სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** მიიჩნიეს იმ ზეპარტიულ სტრუქტურად, რომელიც შეძლებდა სამეგრელოს მოსახლეობის ერთ მუშტად შეკვრას, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის ძირითადი სუბიექტი და საქართველოს განვითარების განმაპირობებელი ძალა გახდებოდა. მათ ისიც აკრთობდათ, რომ ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა სრულიად ახალი ტიპის პოლიტიკოსი, საქართველოს გულმხურვალე პატრიოტი და ნიჭიერი პიროვნება ალექსანდრე ჭაჭია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უკლებლივ ყველა ქართველ პოლიტიკოსს უკან უნდა გადაედგა ერთი ნაბიჯი. შევარდნაძის **"წყალობით"** აღზევებულებს კი მიღწეულის დათმობა ცოცხალი თავით არ სურდათ. სწორედ ამიტომ, წამოვიდა ბრალდებების ბინძური ნიაღვარი – სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** დამფუძნებლებს აბრალებდნენ მეგრულ სეპარატიზმს, ქვეყნის დაშლის მცდელობას, უცხო ქვეყნის აგენტობას, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს. **ერთის სიტყვით, შვიდივე ბიბლიურ სასიკვდილო ცოდვაში გვდებდნენ ბრალს.** ყველაფერი ეს კი კეთდებოდა იმ პოლიტიკოსთა პირით, რომლებიც თითქოს ოპოზიციონერები იყვნენ, ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთა მეშვეობით, რომლებიც პრაქტიკულად მოწყვეტილები იყვნენ ხალხს და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა აწუხებდათ.

დღეს, ათი წლის გადასახედიდან, შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ რა მოუტანა საქართველოს სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** დაფუძნებამ.

ამ სტრუქტურამ უპირველეს ყოვლისა უჩვენა ქართულ საზოგადოებას, საქართველოს ხელისუფლებას, რომ სამეგრელოს მოსახლეობას ძალუძს ვიწროპარტიული ინტერესების, პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირების დაძლევა და სამეგრელოს ჭეშმარიტი სასიცოცხლო ამოცანების რეალი- ზაციისათვის, სამეგრელოს ისტორიული მისიის შესრულებისათვის გაერთიანება. ბუნებრივია, რომ ასეთი ძალის გამოჩენა შევარდნაძეს და მის გარემოცვას დააფრთხობდა და დიდად არ გაახარებდა იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მეგრელ კაცს მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენის ჩასაგდებად იყენებდნენ. სწორედ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელომ"** განაცხადა ხმამაღლა პირველად, რომ არსებობს მეგრული ენა, მეგრული კულტურა, მეგრული ეროვნული თვითმყოფადობა და ყველაფერი ეს მოითხოვს ფართო აღიარებას, მხარდაჭერას, პატივისცემას და შენარჩუნება-განვითარებას. **"სამეგრელომ"** განაცხადა, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ეს რეალობა ყველას მიერ იქნება აღიარებული და გაცნობიერებული როგორც ერთიანი ქართული ენობრივი კულტურის, ერთიანი ქართული ეროვნული სიმდიდრის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი. სწორედ ამ იდეას დაუპირისპირდნენ შევარდნაძის მიერ მიწოდებულ სალაფავს მისეული **"კარის პოეტები",** რომლებმაც მეგრულ ენას **"მიჯღარკულ-მოჯღარკული"** უწოდეს, მეგრელი კაცი კი **"მარტივ გლეხად"** მოიხსენიეს, შემდეგ კი არც ცოტნე დადიანი დაინდეს მისი მეგრელობის გამო და ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადეს. მაგრამ სწორედ **"სამეგრელომ"** გაარღვია სუბიექტივიზმის წრე და დღეს სამეგრელოს ინტერესებზე, სამეგრელოს გულისტკივილზე, მეგრულ ენაზე, კულტურასა თუ ლიტერატურაზე უკვე გაბედულად საუბრობს ყველა.

უნდა აღინიშნოს, ის რომ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ხელმძღვანელობა და წევრები თავის მოვალეობად მიიჩნევდნენ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური არენიდან ჩამოშორებას, რისთვისაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს **"ვარდების რევოლუციაში",** მაგრამ, ხელისუფლებაში მოსულ "ნაციონალებს" შემდეგ ამის აღნიშვნა რატომღაც **"დაავიწყდათ"**.

გარდა ამისა, **"სამეგრელო"** იყო ის ორგანიზაცია, რომელმაც 2003 წლის არჩევნების გაყალბებისას პირველმა გააპროტესტა ეს პოლიტიკური უმსგავსოება და ხმამაღლა მოითხოვა შევარდნაძის გადადგომა. რაც შეეხება **"ვარდების რევოლუციის"** ტრიუმვირატს – სააკაშვილს, ჟვანიასა და ბურჯანაძეს, მათ არ გაუპროტესტებიათ შევარდნაძის მიერ არჩევნების გაყალბება და საარჩევნო პროცენტებზე ევაჭრებოდნენ მას. ე.ი. იბრძოდნენ არა გაყალბების წინააღმდეგ, არამედ სპეკულირებდნენ, რომ ეს გაყალბება გამოეყენებინათ თავიანთ სასარგებლოდ. შევარდნაძე არაფერს თმობდა და მხოლოდ მეხუთე დღეს, როცა სააკაშვილმა, ჟვანიამ და ბურჯანაძემ მიიღეს ამერიკელებისაგან შევარდნაძის პოსტიდან გადადგომის ნებართვა, მხოლოდ მაშინ წამოაყენეს მისი გადადგომის საკითხი. აქ უკვე ნათელი გახდა, რომ ხელისუფლებაში ახალი ტიპის მარიონეტები მოვიდნენ.

განვლილი ათი წლის მანძილზე სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** საქმიანობა ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციით შემოიფარგლებოდა. გამოცემულია რამდენიმე მეგრული ლექსიკონი, რამდენიმე წიგნი, რომლის ძირითადი მოწოდებაა ჭეშმარიტი სასიცოცხლო ამოცანების რეალიზაცია, სამეგრელოს ისტორიული მისიის შესრულებისათვის გაერთიანება, ჩატარებულია ჩვენი კუთხის ღირშესანიშნავი წარმომადგენლების, განთქმული პოეტების, მწერლების, მეცნიერების ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენციები, **"სამეგრელო"** ხელს უწყობდა სხვადასხვა ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჟურნალების გამოცემის საქმეს, სისტემატურად გამოსცემდა გაზეთ **"ილორს".** გამოიცა მეგრული პოეზიის რამდენიმე კრებული.

"სამეგრელოს" მიერ გაკეთებულ უამრავ სასიკეთო საქმეთა შორის ყველაზე ღირშესანიშნავად ქართულ საზოგადოებას მიაჩნია მოძრაობისა და მისი თავკაცის ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და სახსრებით ზუგდიდში საქართველოს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ძეგლის აღმართვა. ეს ძეგლი არ გახლავთ უბრალო ქანდაკება და არც უბრალო ხსოვნის სიმბოლო. ეს არის ქართველი ერის სულიერი სიძლიერის, მადლიერების, ქართული სულის უკვდავებისა და ეროვნული ღირსების სიმბოლო.

მაგრამ, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** და მისი ხელმძღვანელის ალექსანდრე ჭაჭიას უდავოდ დიდ დამსახურებად ითვლება ის, რომ შემუშავდა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა, რომელსაც, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ სრულიად არ მიაქცია ყურადღება, რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს იმ აზრს, რომ ხელისუფლებაში მყოფ ქართველ თუ **"გაქართველებულ"** პოლიტიკოსებს უფრო საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ და არაფრად მიიჩნევენ სახელმწიფოს ბედს.

სახალხო მოძრაობა **"სამეგრელომ"** ოთხჯერ ჩაატარა ყრილობა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ კუთხის ღირსეული შვილები, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და მხარეებიდან მოწვეული მაღალი სტუმრები. სწორედ ყრილობამ წამოაყენა ინიციატივა იმის თაობაზე, რომ ყოველ წელს ჩატარდეს სამეგრელოს სახალხო კრება და შეიქმნას სამეგრელოს უხუცესთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევა სამეგრელოს რაიონისა თუ ქალაქის 10-10 ყველაზე ავტორიტეტული, გამოცდილი, დამსახურებული პიროვნება, რომელთაც მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცეს სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება. ფაქტიურად ეს იქნება ის **არეოპაგი**, რომელიც განსაზღვრავს სამეგრელოს მოსახლეობის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ აქტიურობას, იმსჯელებს საჭირბოროტო საკითხებზე და შეიმუშავებს მათი მოგვარების გზებს. ყრილობებმა განიხილა სხვა საკითხები და მიიღო დადგენილებები. ყურადღება ეთმობოდა მოსახლეობის ერთიანი პოზიციის შემუშავებიას და მათი უფლებების დაცვას, რასაც ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდა და ბლოკავდა მოძრაობის საქმიანობას.

"სამეგრელო" ყოველთვის აჟღერებდა კონსოლიდირებულ აზრს აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით, რომლის უგულვებელყოფაც ხელისუფლების მიერ იქცა საქართველოსაგან მისი ძირძველი მიწის ჩამოშორების ძირითად მიზეზად. ვის, ვის და მხოლოდ სამეგრელოს შეეძლო აფხაზეთის საკითხის მოგვარება, რადგან ყველასთვისაა ცნობილი, თუ როგორაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან ამ ორი ხალხის ბედი, თუ რამდენი საერთო ტრადიცია აქვთ მათ. ცნობილია ისიც, რომ აფხაზი შვილს არ გაატანდა ცოლად იმ აფხაზს, ვინც მეგრული ენა არ იცოდა. საქართველოს ხელისუფლებამ კი ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ არ განვითარებულიყო სახალხო დიპლომატია აფხაზებსა და მეგრელებს შორის, რომელსაც ნამდვილად შეეძლო აფხაზეთის პრობლემის მოგვარება.

სწორედ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** წყალობით შეიტყო მსოფლიომ, რომ არსებობს სამეგრელოს რეგიონი, რომელსაც გააჩნია საკუთარი ენა, კულტურა, ისტორია, ეკონომიკური შესაძლებლობები. ჩვენი წარმომადგენლები მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, აქვეყნებენ პუბლიკაციებს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებში.

მაშ ასე, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** ათი წლისაა. ისტორიულად ეს არ არის დიდი პერიოდი, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ უგუნურ და დანაშაულებრივ პოლიტიკას, საქართველომ ამ ათ წელიწადში დაჰკარგა იმდენი რამ, რაც არ დაუკარგავს საუკუნეთა განმავლობაში.

იმედია, რომ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** მალე შესძლებს სამეგრელოს გაერთიანებას, შინაური ურთიერთდაპირისპირების დაძლევას და იგი შეასრულებს იმ ისტორიულ ფუნქციას, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ასრულებდნენ ჩვენი წინაპრები.

ეს კი წარმოადგენს წამყვან, გადამწყვეტ ფუნქციას საქართველოს გაერთიანებისა და ქართველთა გამთლიანების პროცესში.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო"

გვესალმებიან მეგობრები

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს"!
მის თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!

გილოცავთ თქვენი ორგანიზაციის დაფუძვნების ათი წლის იუბილეს!

მე ყოველთვის ახლოს ვიდექი თქვენს ჭეშმარიტად პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილ მოძრაობასთან მისი დაფუძვნების დღიდან და კარგად ვიცი, რომ სწორედ თქვენ მოუდეთ ბოლო იმ სეპარატიზმს, კუთხურობას და გამთიშველობას, რომელსაც უზნეოდ გწამებდნენ ედუარდ შევარდნაძე და მის მიერ გაწაფული გოშიები, ის სახედაკარგული ადამიანები, თავად რომ ცდილობდნენ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებას და სრულიად საქართველოს მოუხმობდნენ სამეგრელოს სამხედრო ძალით დასალაშქრად.

განა სწორედ ის კრიმინალები, ვინც დაამხო დიდი ქართველი მამულიშვილის ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება და საქართველოს თავს შემოასვა ქვეყნის დამაგრეველი ედუარდ შევარდნაძე, არ ამტკიცებდნენ, რომ **"მეგრელებთან არავითარ მოლაპარაკებას აზრი არა აქვს, ისინი ერთიანად უნდა გაწყვიტო და მათ ტერიტორიებზე სხვა ხალხი დაასახლოო"**. სწორედ თქვენი მოძრაობის დიდი დამსახურებაა ის, რომ სამეგრელო გადაურჩა ვანდალების მორიგ შემოსევას და კვლავინდებურად დარჩა საქართველოს ერთიანობისა და სახელმწიფოებრიობის ბურჯად.

ღრმა პატივისცემით,

ავთანდილ სონღულაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს"
ხელმძღვანელობას,
მის თითოეულ წევრსა და მხარდამჭერს, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!

გულითადად გილოცავთ ღირშესანიშნავ მოვლენას – სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ათი წლის იუბილეს!

ათი წელიწადი ფრიად შთამბეჭდავი პერიოდია საიმისოდ, რომ ადამიანმა, ან კეთილი მიზნების გარშემო თავმოყრილმა ადამიანთა ჯგუფმა უამრავი სიკეთე მოჰმადლოს ქართველ ხალხს. სწორედ ამ ფუნქციის ერთგული დარჩა **"სამეგრელო"** მისი დაარსების დღიდან.

სტაგნაცია **"ჩამყაყებას"** ნიშნავს. ის, რომ შევარდნაძის ხელისუფლების მიერ მისი მმართველობის ჟამს, ქართველებისა და საქართველოსათვის არაფერი სასიკეთო არ გაკეთებულა, თავისთავად მიანიშნებს პროგრესული პროცესების გაყინვაზე. სწორედ ეს აძლევდა საშუალებას კრიმინალურ ხელისუფლებას, რომ კანონგარეშე გზებითა და ქმედებებით დაეგროვებინა დიდძალი ქონება და კიდევ უფრო დაემძიმებინა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ საქართველოს დაეკარგა ტერიტორიები და არაფერი გაუკეთებია მათ დასაბრუნებლად, იგი მხოლოდ საკუთარი მერკანტილური ინტერესების დასაცავად მოქმედებდა. ამიტომ გააცოფა თქვენმა ქართულ პოლიტიკაში გამოჩენამ ჭაობში ჩაფლული, სიბოროტემორეული, ქართველთმოძულე ხელისუფლება.

კვლავაც ვიტოვებთ იმედს, რომ **სახალხო მოძრაობა** "სამეგრელო" მცდელობას არ მოაკლებს იმ საქმეს, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სულიერი აღმავლობა ჰქვია.

პატივისცემით,

ჯემალ ხარებავა, აკადემიკოსი

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს"
თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!
მოძრაობის ყველა წევრს!

ძვირფასო კოლეგებო!

გილოცავთ ათი წლის იუბილეს, გისურვებთ სიკეთეს და გამარჯვებას!

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ის ძალისხმევა, რაც სახალხო მოძრაობა **"სამეგრელომ"** შეალია ქვეყნის კეთილდღეობისა და მისი გამთლიანების საშურ საქმეს. ცნობილია ისიც, თუ როგორი რუდუნებით შექმენით თქვენ **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა"**. და რომ არა ქვეყნის ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალებისადმი, საქართველო დღეს ბევრად უფრო სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

კვლავაც ვინარჩუნებთ იმის იმედს, რომ ოპოზიციური პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სტრუქტურები მალე გაერთიანდებიან და იმ ანგარიშგასაწევ ძალად იქცევიან, რომელსაც შეეძლება ხელისუფლების წინააღმდეგობის გადალახვა და ქვეყანაში მდგომარეობის სასიკეთოდ შემოტრიალება. მხოლოდ საქართველოს მტრებს აძლევს ხელს პატრიოტულ ძალთა დაქსაქსვა, რადგან მათთვის, საკუთარი მომხვეჭელური პოლიტიკის გასატარებლად, ხელსაყრელია **"გათიშე და იბატონეს"** საძრახისი მეთოდებით მოქმედება.

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,

როლანდ ნიჟარაძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,
პოლიტიკური გაერთიანება "ჩვენი აფხაზეთის" თავმჯდომარე.

გილოცავთ!

სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** ათი წლისაა!"

ქვეყნის ისტორიისათვის ეს არ არის დიდი პერიოდი, მაგრამ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, რომელმაც უზარმაზარი ღვაწლი გასწია საქართველოს სულიერი გამთლიანებისათვის, ათი წელი უდავოდ გახლავთ დამსახურებული სიამაყისა და პოლიტიკური პროდუქტიულობის სიმბოლო.

ახლა, როცა ქვეყანას ჭეშმარიტად მძიმე ჟამი უდგას და გამოსავალიც არსაიდან ჩანს, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა დიდი საფრთხის წინაშე იმყოფება, **"სამეგრელომ"** კიდევ უფრო უნდა გააააქტიუროს საქმიანობა და მომავლის იმედი გაუღვიძოს იმედგადაწურულ ხალხს, განსაკუთრებით კი იმ ლტოლვილებს, რომლებიც მონატრებულები არიან საკუთარი სახლის ფუძეს, ენგურს მიღმა დარჩენილ მეგობრებსა და ნათესავებს, ახლობელთა საფლავებს...

კვლავაც თქვენი იმედი გვაქვს!

გისურვებთ მიზანდასახულობების განხორციელებას და უშრეტ შემოქმედებით ენერგიას!

პატივისცემით,

ირაკლი თოდუა, გაზეთ
"საქართველო და მსოფლიოს"
მთავარი რედაქტორი

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს"
თავმჯდომარეს
ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!

გილოცავთ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ათწლიან იუბილეს!

ათი წლის წინათ, როცა ქვეყანა კორუფციის ჭაობში იყო ჩაფლული, **"სამეგრელოს"** დაფუძვნება გახლდათ ჭეშმარიტად მამულიშვილური საქმე, რამაც გამოაფხიზლა ადამიანები და შევარდნაძის საძულველი რეჟიმისადმი მონური მორჩილებისაგან თავის დაღწევის იმედი შთაუნერგა მათ.

აქვე, არ შემიძლია მადლობის სიტყვები არ ვთქვა გაზეთ **"ილორის"** მიმართ, რომელიც დაარსების პირველივე დღიდან უმაგრებს მხარს სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"**. ამ ხნის განმავლობაში **"ილორს"** არასოდეს უღალატია მაღალი პრინციპებისათვის, სიმართლისა და ობიექტურობისათვის. განსაკუთრებით სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ **"ილორის"** პუბლიკაციები გამოირჩევა გონიერებითა და სიდარბაისლით.

ამდენად, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** და მისი ბეჭდვითი ორგანო **"ილორი"** მხოლოდ დარბაისელთა სტუმარი და მასპინძელი არიან.

დღეგრძელი იყოს სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** და გაზეთი **"ილორი"!**

ღრმა პატივისცემით,

თემურ ქორიძე

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს",
ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, მოძრაობის წევრებსა და მხარდამჭერებს!

გილოცავთ ათი წლის იუბილეს!

თქვენ უაღრესად საჭირო ჟამს გამოჩნდით საქართველოში, სადაც უკვე მყარად ჰქონდა ფეხი მოკიდებული შევარდნაძის კრიმინოკრატიას და არნახული ტემპებით მიმდინარეობდა მოსახლეობის გადატაკების პროცესი. უკეთესი მდგომარეობა არც ამუამადაა ქვეყანაში, მაგრამ რომ არა თქვენი ძალისხმევა, რაც ესოდენ აშინებდა ქურდად და ყაჩაღად ქცეულ ბიუროკრატიას, ქვეყანა უკვე დიდი ხნის დაშლილ-დაქცეული იქნებოდა.

სწორედ თქვენი მოძრაობის დამსახურება გახლავთ ის, რომ 1999 წლიდან საქართველოში მნიშვნელოვნად იკლო სახელმწიფო ობიექტების დანაშაულებრივად გასხვისების ფაქტებმა, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა რეგიონებში აღიკვეთა ხელისუფლების მიერ მოსახლეობის დანაშაულებრივად დარბევის შემთხვევები, მეტი ყურადღება ექცევა ისტორიული საერო და რელიგიური ძეგლების დაცვის საქმეს და სხვა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გიძღვნათ იმისათვის, რომ თქვენი სახსრებით დაიდგა ზუგდიდში საქართველოს პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ძეგლი.

გისურვებთ წარმატებებს მომავალ საქმიანობაში!

ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

რეზო ჩხარტიშვილი, პროფესორი.

ჩვეულებრივი ქურდობა თუ სოდამსჯელო ოპერაცია

და "მოგვესალმენ" არამეგობრებიც

2009 წლის 26 თებერვალს, სავარაუდოდ – შუაღამეს, გაიქურდა გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოს"** რედაქციის ოფისი, სადაც პარალელურად ხდებოდა გაზეთ **"ილორის"** აწყობა და დაკაბადონება. დანაშაული მოხდა გაუგონარი ცინიზმითა და თავხედობით, ქალაქის ცენტრში, უროს გამოყენებით და დიდი ალიაქოთით, თან ისე, რომ მჭიდროდ დასახლებულ ე.წ. **"იტალიურ ეზოში"** არავის **"არაფერი დაუნახია და არავის არაფერი გაუგონია"**.

"საქმე" ჯერ კიდევ არ არის გახსნილი (ამის იმედი არც გვაქვს) და თავს იმის მორალურ უფლებას ვერ მივცემთ, რომ კრიმინალისტებს დავასწროთ დასკვნების გაკეთება.

ჩვენ, უბრალოდ, მარტივი ლოგიკით მივყვებით მოვლენებს და ვსვამთ შეკითხვებს:

– ოფისიდან წაიღეს კომპიუტერის ოთხი პროცესორი და სამი მონიტორი, მეოთხე მონიტორი კი ეზოში დააგდეს. მას ჩამრთველები გადაჭრილი ჰქონდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მონიტორი მათ, როგორც ღირებული ნივთი საერთოდ არ სჭირდებოდათ და უფრო პროცესორებით იყვნენ დაინტერესებული, რომლებშიც რედაქციის მასალები და არქივი ინახებოდა. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ქურდებს არ წაუღიათ საკმაოდ ძვირადღირებული პრინტერი, რომელშიც, ამავე დროს, სკანერიც იყო მონტირებული და ასევე ძვირადღირებული უწყვეტი კვების წყარო. მათი ოფისიდან გატანა კი მატერიალურად ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე სხვა ტექნიკისა. ამიტომ, ისმის ბუნებრივი შეკითხვა – ქურდებმა მოიპარეს ტექნიკა თუ მასში არსებული ინფორმაცია? ფაქტია, რომ ქურდს ინფორმაცია არ სჭირდება. ამოცანა გვეკითხება – ვინ შეიძლება დაინტერესდეს ოპოზიციური გაზეთის მასალებით და იმით, რომ ტექნიკის მოპარვით ხელი შეუშალოს გაზეთის გამოცემის საქმეს?

– უკანასკნელ პერიოდში, მას შემდეგ, რაც პატრულმა გაამკაცრა ბრძოლა ქურდობის წინააღმდეგ, თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში, თითქმის აღიკვეთა კომპიუტერებისა და მობილური ტელეფონების ქურდობა, რადგან მათი რეალიზაცია დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ნაქურდალი ნივთების შეძენას ყველა ერიდება, თუნდაც იმიტომ, რომ მისი აღმოჩენა თითქმის ყველა შემთხვევაში შეიძლება სპეციალური კოდების გამოყენებით. ამიტომ, ძნელად სარწმუნოა, რომ ქურდებმა კომპიუტერები სარეალიზაციოდ ან პირადი გამოყენებისათვის მოიპარეს. ამოცანა გვეკითხება – საერთოდ იყვნენ კი პროფესიით ქურდები ის პიროვნებები, ვინც ტექნიკა მოიპარა?

– ურთულესი გზა გაიარეს ქურდებმა, ვიდრე რედაქციის ოფისში შეაღწევდნენ. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ეს ოპერაცია ჩვეულებრივი **"კაბინეტური"** მეთოდით განხორციელდა, რადგან, წვრილმანი ქურდ-ბაცაცა არასოდეს გასწევს ესოდენ **"მძიმე"** შრომას გასაქურდ ობიექტამდე მისაღწევად. რედაქციის ოფისამდე ქურდებმა გატეხეს მეზობელი ოფისის რკინის კარი, შემდეგ კი გამოანგრიეს რედაქციის ოთახის ფანჯარაზე დამაგრებული რკინის ცხაური. ამოცანა გვეკითხება – გასწევს კი რომელიმე ქურდი ამხელა სამუშაოზე რამდენიმე კომპიუტერის გულისთვის, ან ესოდენ დიდ რისკზე, რადგან ქურდობა საკმაოდ მკაცრად ისჯება?

– როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქურდობა დედაქალაქის ცენტრში, ტაბიძის ქუჩაზეა მომხდარი. მეზობელი ოფისის რკინის კარზე მასიური კლიტე მძიმე ურის გამოყენებითაა ჩამოგდებული. ასევე ურია გამოყენებული რედაქციის ოფისის ფანჯრის რკინის ცხაურის გამოსანგრევად, რაც, უეჭველია, რომ დიდი ხმაურის თანხლებით ხდებოდა. ამ შემთხვევაში კი, თუ ქურდს იმის მყარი გარანტია არ ექნებოდა, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევისას მას არავინ დააპატიმრებდა, არც ერთი ჭკუამთმყოფელი ქურდი არ ატეხდა ასეთ ხმაურს ქალაქის ცენტრში, თუნდაც შუაღამისას. მით უმეტეს, რომ ყოველივე ეს ხდებოდა ე.წ. **"იტალიურ ეზოში"**, სადაც უამრავი ოჯახი ცხოვრობს. ამოცანა გვეკითხება – საინტერესოა, ვისი იმედითა და მხარდაჭერით მოქმედებდნენ ქურდები?

ნათქვამია, ქურდმა ერთი ცოდვა ჩაიდინა, დამბრალებელმა ათასიო. ჩვენ ვერავის დავაბრალებთ ქურდობას, მაგრამ მარტივი ლოგიკიდან გამომდინე, გვიჩნდება იმის სერიოზული ეჭვი, რომ ეს ქურდობა უბრალო ბაცაცების მიერ არ არის ჩადენილი. მით უმეტეს, რომ როგორც გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"** ასევე გაზეთი **"ილორი"** ოპოზიციურ პრესას წარმოადგენენ და ხელისუფლების მკაცრი კრიტიკით არიან გამორჩეული. და თუ ეს დანაშაული უბრალო ქურდების ნახელავი არ არის, მაშინ, მივმართავთ ამ საძრახისი საქმის ჩამდენებს:

– მართალი სიტყვის შიში მოგძალებიათ, ბატონებო და სახედაკარგულები აღარაფრის წინაშე აღარ იხევთ უკან, რათა ოპოზიციურ გაზეთებში გაჟღერებულ ობიექტურ საზოგადოებრივ აზრს წინ აღუდგეთ. მაგრამ ისიც კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ **"შიში ვერ იხსნის სიკვდილსა..."**

ჩვენ სულ რამდენიმე დღეში აღვადგენთ რედაქციაში დროებით შეწყვეტილ შემოქმედებით და ტექნიკურ პროცესებს, მაგრამ თქვენს დაცემულ ავტორიტეტს რომ ვერასოდეს ვერაფერი აღადგენს, ესეც ფაქტია!

ᲭᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲭᲙᲘᲕᲘᲚᲐᲓ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲓᲠᲝ ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲗᲛᲔᲜᲗ...

ეს ინტერვიუ ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის ალექსანდრე ჭაჭიასაგან ჟურნალისტმა 2005 წლის სექტემბერში ჩაიწერა. ავი სიზმარივით აუხდა საქართველოს ყოველივე ის, რაზედაც მაშინ გულისტკივილით საუბრობდა ბატონი ალექსანდრე და მეტი სიფრთხილისა და წინდახედულებისაკენ მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას და მთელ ქართველ ერს. საკითხები, რომელსაც წინა პლანზე წამოსწევდა ინტერვიუს ავტორი, დღეს უფრო აქტუალურია, ვიდრე მაშინ, როცა ეს წერილი გამოქვეყნდა. სტატია გამოირჩევა იმით, რომ მასში არ არის ხელისუფლების ღია თუ ფარულ მხარდამჭერ ანგაჟირებულ "წინასწარმეტყველ პოლიტიკურ ექსპერტთა" მიერ მოყვანილი ტენდენციური დასკვნების მსგავსი რამ, რაც თვალში ნაცრის შეყრის ტოლფასია. ქვეყანაში მაშინ შექმნილი მდგომარეობის ანალიზი გახლდათ ოპტიმალური სტრატეგიული გათვლა იმ პოლიტიკოსისა, რომელიც ღრმად არის ჩახედული მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.
როგორც ამბობენ, იმედი ბოლოს კვდება!
სააკაშვილის ხელისუფლებამ იმდენი "იხტუნავა", რომ საქართველოს საბოლოოდ დაუკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო, და რაც მთავარია, ერს დაუკარგა მომავლის რწმენა და იმის იმედი, რომ მუხლზე დაჩოქებული საქართველო კიდევ როდისმე შესძლებს წამოდგომას..
მაგრამ, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მაინც გიჩნდება იმედიანი შეკითხვა:
იქნებ ჯერ კიდევ არ მომკვდარა იმედი?
იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან?
იქნებ დაგვიჯერონ, რომ საქართველოს ხელისუფლებას სულ სხვა მიზნები აქვს, ქართველი ხალხი კი არასოდეს უღალატებს ძმობისა და მეგობრობის მრავალსაუკუნოვან ფიცს?
იქნებ...
ეჰ, ვინ იცის?
საქართველოს სავალალო მდგომარეობის კიდევ ერთხელ გასააზრებლად, უცვლელად გთავაზობთ ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუს.

— ბატონო ალექსანდრე, უკვე ორი წელი გავიდა "ვარდების რევოლუციის" გზით საქართველოს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში თქვენ იშვიათად ჩნდებოდით პრესის ფურცლებზე. ვიხსენებ მხოლოდ თქვენს რამდენიმე პუბლიკაციას, სადაც მკაცრად აკრიტიკებდით ახალი ხელისუფლების საგარეო კურსს და საკადრო პოლიტიკას. რამ გამოიწვია თქვენი ასეთი პასიურობა?

— მე ყოველთვის ვემხრობოდი იმ აზრს, რომ ახალ ხელისუფლებას დანაპირების შესრულებაში ხელი არ უნდა შევუშალოთ და თავის გამოჩენის საშუალება მივცეთ. ჩემში გარკვეულ გაუცხოებას იწვევენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც მკაცრად აკრიტიკებენ ხელისუფლებას მისი არჩევიდან მეორე დღესვე, იმიტომ, რომ თავად არ არიან ამ ხელისუფლებაში. ჩვენთვის, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელი პარტია, ან კონკრეტულად ვინ იმყოფება ქვეყნის სათავეში. მთავარია, კეთდებოდეს საქმე, წყდებოდეს მთავარი ამოცანა — ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ქართველი ერის საარსებო გარანტიებით აღჭურვა.

— ორი წელი საკმაო დროა საიმისოდ, რათა შეფასება მიეცეს ხელისუფლების პოლიტიკას. როგორ თვლით, წყდება თუ არა ეს უმთავრესი საკითხი? რას ხედავთ პოზიტიურს ან ნეგატიურს ხელისუფლების საქმიანობაში?

— მეტი წილი ოპოზიციონერებისაგან განსხვავებით, ხელისუფლების საქმიანობაში მე ვხედავ პოზიტიურ მოვლენებს. პირველი და მთავარი, ესაა შევარდნაძის მოშორება პოლიტიკური თვალსაწიერიდან. ყველამ კარგად იცოდა, რომ საქართველო არჩევნების გზით შევარდნაძეს თავიდან ვერ მოიშორებდა. საჭირო იყო სახელმწიფო გადატრიალება, ამგვარ რისკზე კი არავინ მიდიოდა. სააკაშვილმა ამერიკელებისაგან თანხმობა მიიღო და ეს გააკეთა კიდეც. ქართველ ხალხს სიახლისა და სერიოზული ცვლილებების იმედი ჩაესახა. ამგვარი ემოციური მუხტი სასარგებლოც კი გახლდათ ერისათვის, რომელიც წლების განმავლობაში თვლემდა და უიმედობითა და ნიჰილიზმით იყო შეპყრობილი. უკანონოდ გამდიდრებული ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ ახალ ხელისუფალთა მიერ მოწყობილ ექსპროპრიაციულ ღონისძიებებს საერთო არაფერი ჰქონდა კანონიერებასა და დემოკრატიასთან, მაგრამ მოსახლეობაში მაინც ქმნიდა ამაღლებულ განწყობას, ვიდრე ეს ღონისძიებებიც ფარსად არ იქცა. მცირე და საშუალო ბიზნესზე გარკვეულწილად დადებითად იმოქმედა **"ჭახრაკების მოშვებამ"** და ბიუროკრატიული სისტემის გამარტივებამ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნად გალამაზდა დედაქალაქი, სრულიად ახალი ელფერი შეიძინეს სხვა ქალაქებმაც, მასიურად შენდება ავტოსტრადები, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის აღორძინება სწორედ გზების მშენებლობით იწყებოდა, თუმცა, იქ საგზაო სამუშაოებზე დასაქმებული იყო ადგილობრივი მოსახლეობა და არა თურქეთიდან ჩამოსული მუშები. ასევე დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ სამყაროში საქართველოს იმიჯის გაუმჯობესებას. ეს გახლავთ მრავალი სასაუბრო ენის მცოდნე, აქტიური და კომუნიკაბელური სააკაშვილის პირადი დამსახურება. სამწუხაროდ, ჯერ არ შეინიშნება წინსვლა ისეთი უმთავრესი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეროვნული ეკონომიკის ფორმირება და ქართველი ერის განვითარება.

— თქვენის აზრით, რატომ ფერხდება ამ პრობლემების მოგვარების პროცესი?

— ამის მიზეზი მრავლადაა, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური. უპირველესად, ნაციონალური მოძრაობა ისე მოვიდა ქვეყნის სათავეში, რომ არ ჰქონდა ქვეყნის აღორძინების კონკრეტული პროგრამა. იყო საერთო ფრაზები, ლოზუნგები, მოწოდებები, მაგრამ პროგრამა, მომავლის ნათელი ხედვა არ იყო. მეორეც, ხელისუფლებაში მოხვდნენ შემთხვევითი ადამიანები — შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების არმქონე ახალგაზრდები, რამაც შეუძლებელი გახადა ერთიან პროფესიონალთა გუნდის ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებდნენ იმ ერთიანი სისტემური კრიზისის დაძლევას, რაშიც ქვეყანა უკვე 15 წელია იმყოფება. ამ ხალხს არც სამოქმედო პროგრამა გააჩნია, არც გამოცდილება და არც სათანადო ინტელექტუალური დონე. მე 1999 წლიდან მოვუწოდებდი ხელისუფლებას, პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებს, რომ შემუშავებულიყო საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია, რაც გასაგები და მისაღები იქნებოდა ქართველი ერისათვის და ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების საქმიანობის ქვაკუთხედად იქცეოდა. ხელისუფლებამ, მოსახლეობამ, უკლებლივ ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ რა არის სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია, მისი მიზნები და ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურის სფეროებში. გარდა ამისა, ჩვენ გვჭირდება ეროვნული იდეა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო დონეზე. ამ იდეის გარეშე კი სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. თქვენ იცით, რომ მე გამოვაქვეყნე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიისა და ეროვნული იდეის ჩემებური ხედვა და ხელისუფლებას ვთავაზობდი მის ფართოდ განხილვას და სხვა ვარიანტების შემუშავებას. მაგრამ, უწიგნურ შევარდნაძეს იგი არ სჭირდებოდა, სხვა პოლიტიკური ლიდერები კი მას უმაქნის **"თეორიად"** მიიჩნევდნენ. როგორ ჩანს, ვერც ამ ხელისუფლებამ შეაფასა სათანადოდ აღნიშნული დოკუმენტი. საერთოდ, ჩვენი ხელისუფლებას თეორია ზედმეტ საქმედ მიაჩნია. 1951 წელსაც კი, თვით იოსებ სტალინი, რომელსაც უკვე მოგებული ჰქონდა მეორე მსოფლიო ომი, და რომელმაც საბჭოთა კავშირი აქცია ეკონომიკურად ზემძლავრ და ბირთვულ სახელმწიფოდ, წერდა: **"თეორიის გარეშე ჩვენ დასაღუპად ვართ განწირულები!"**. აი, რას ნიშნავს თეორია ჭკვიანი ხალხისათვის.

— ამას წინათ აშშ-მ გადაწყვიტა, რომ საქართველოს დაეხმაროს 300 მილიონი დოლარით. იქნებ ამ თანხით მოხერხდეს საქართველოს ეკონომიკის აღორძინება?

— ბოლო წლებში საქართველომ დახმარების სახით ათჯერ მეტი თანხა მიიღო, მაგრამ განა ამან აღორძინა საქართველოს ეკონომიკა? ამერიკელები იმ პროექტს აფინანსებენ, რომელიც მათ სჭირდებათ — სატრანზიტო გზების მშენებლობა, გაზსადენის რემონტი და სხვა. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც კარგია, მაგრამ სამამულო ეკონომიკაში ხარისხობრივად არაფერს აუმჯობესებს. თუ ქართველები შეურიგდნენ იმ ხვედრს, რაც მათ შევარდნაძემ გაუმზადა — გადაიქცნენ სატრანზიტო ტერიტორიის მეორეხარისხოვან მოსამსახურეებად — ყველაფერი კარგად ყოფილა. მაგრამ თუ ჩვენ გვსურს დავრჩეთ ერად და გაგვაჩნდეს საკუთარი სახელმწიფო, მაშინ აუცილებელია ავაღორძინოთ და შევქმნათ ქართული სამრეწველო და სასოფლო-სამეურეო საწარმოები, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებები. საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია საიმისოდ საკმარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, რომ შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში შექმნას ორი-სამი მაღალტექნოლოგიური მეცნიერებატევადი დარგი, რომელიც კონკურენტუნარიანი გახდება თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში. არა აქვს მნიშვნელობა, რომელი დარგი იქნება ეს — მიკროელექტრონიკა, ელექტროტექნიკა თუ ბიოტექნოლოგია. მთავარია, თავისი დონითა და მოცულობით იგი იქცეს ქვეყნის საბაზისო საწარმოდ, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სახედ. საამისო კადრები ჯერ კიდევ გვყავს, მაგრამ 15-20 წლის შემდეგ იგი აღარ გვეყოლება.

— ხომ შეიძლება, რომ დღეს განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმამ სათანადო კადრები მოუმზადოს ქვეყანას?

— დღევანდელი რეფორმა გახლავთ საქართველოს სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული პოტენციალის მიზანდასახული განადგურების ბერკეტი. შევარდნაძის მიერ დიდი ხნის წინათ დაწყებულ ამ დამღუპველ საქმეს წარმატებით ამთავრებენ მისი დღევანდელი მიმდევრები. ის, რაც დღეს ინგრევა, ათეულწლობითი თავაუღებელი მუშაობითაც კი ვეღარ აღდგება. ასეთია მეცნიერებისა და განათლების სისტემის სტრუქტურა: წამიერად ჩამოიშლება, მისი აღდგენა კი უკიდურესად ნელა ხდება. ამიტომ, თუ ჩვენ სათანადოდ არ გამოვიყენებთ 40 და მეტი წლის ასაკის მქონე იმ თაობის ძალისხმევას, რომელიც გამოირჩევა დიდი განსწავლულობით, პასუხისმგებლობის გრძნობით და პატრიოტული სულისკვეთებით — ქვეყნის აღორძინების შანსს ხელიდან გავუშვებთ. სამწუხაროდ, დღეს სწორედ ეს თაობა იდევნება საზოგადოების სოციალური ყოფიდან. ეს პროცესიც შევარდნაძემ წამოიწყო...

— ყველანი ხედავენ, რომ ახალმა ხელისუფლებამ მკვდარი წერტილიდან ვერ დაძრა აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემის მოგვარების საკითხი. პირიქით, მათთან ურთიერთობები კიდევ უფრო გაუარესდა. რა არის ამის მიზეზი?

— აქ მიზეზთა მთელი წყება არსებობს. უპირველესად, ქართულ პოლიტიკურ წრეებს და ქართული საზოგადოებრიობის დიდ ნაწილს დღესაც კი არა აქვს გააზრებული, თუ რაოდენ კატასტროფულია ეს დანაკარგი ქვეყნისა და ერისათვის. ხალხს უჭირს იმის აღქმა, რომ საქართველო დღეს არ არსებობს, ვინაიდან საქართველო აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე აღარ არის საქართველო. ეს უკვე სულ სხვა სახელმწიფოა და მას სხვა სახელი უნდა ერქვას. როცა მიხეილ სააკაშვილი საქართველო პრეზიდენტად აირჩიეს, მე საჯაროდ ვურჩიე მას, ხსომებოდა, რომ იგი ერთიანი საქართველოს პრეზიდენტი კი არა, საქართველოს ერთი ნაწილის პრეზიდენტია და ვუსურვე მას გამთლიანებული საქართველოს პრეზიდენტობა. საქართველოს პირველ და ერთადერთ პრეზიდენტად ჯერ-ჯერობით რჩება ზვიად გამსახურდია. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სრულფასოვანი ეკონომიკური განვითარება. მეორეც, ხელისუფლების კეთილდღეობაზე სრულიადაც არ მოქმედებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მოუგვარებლობა. შევარდნაძე გამუდმებით ატყუებდა ხალხს, აფხაზეთის დაბრუნების ახალ-ახალ ვადებს სთავაზობდა მოსახლეობას, მაგრამ ეს არ იწვევდა ფართომასშტაბიან პროტესტს: ანგარებიანი ინტელიგენცია მის დაკრულზე ცეკვავდა და თან ტაშს უკრავდა, ხალხის ძირითადი მასა კი დუმდა.

— რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ თქვენ საქართველოს პარლამენტიდან აფხაზეთის დეპუტაციის გამოყვანა?

— მთლიანად გამართლებულად. მათ არავითარი სარგებლის მოტანა არ შეეძლოთ, საქმეს კი აფუჭებდნენ: მათი მეშვეობით შევარდნაძე ხალხს ატყუებდა და აბნევდა. ბევრმა მათგანმა კი, ადრეულ პერიოდში, დიდი როლი ითამაშა აფხაზებთან ურთიერთობის გაუარესების საქმეში. ისიც ვიცი, რომ მრავალი მათგანი საერთოდ არ იყო დაბადებული აფხაზეთში. საერთოდ, ჩვენი პოლიტიკის კანონზომიერებად იქცა ის, რომ აფხაზეთის საკითხების მოგვარებას ცდილობენ ამ საქმეში ჩაუხედავი ადამიანები. მათ არ გააჩნიათ აფხაზებთან ნათესაური ან მეგობრული კავშირები, არ იციან მათი საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციფიკა, ამ რეგიონის სოციოკულტურული თავისებურებები, და რაც მთავარია, აფხაზეთის სასაფლაოებზე არ განისვენებენ მათი წინაპრები. აფხაზეთი მათთვის არის არა დაკარგული სამშობლო, არამედ **"სადავო ტერიტორია"**.

— თქვენ ყოველთვის უსვამთ ხაზს რუსეთის გადამწყვეტ როლს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. დღეს ჩვენი ხელისუფლება საერთოდ უარს ამბობს რუსეთის შუამავლობაზე კონფლიქტების მოგვარების საქმეში. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

— სწორედ ეს გახლავთ დღეს არსებული მდგომარეობის განმსაზღვრელი: წინა და ახლანდელი ხელისუფლების სრული უუნარობა, დაარეგულიროს დამოკიდებულება პოსტსაბჭოური სივრცის მთავარ მოთამაშესთან — რუსეთის ფედერაციასთან. რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად აღნიშნული პრობლემის მოგვარება პრაქტიკულად შეუძლებელია. საქართველოს ხელისუფლები კი, სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ უკიდურესად დაძაბონ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. შევარდნაძის საქციელი გასაგებია — იგი მარიონეტი იყო და უნდა ეკეთებინა ის, რასაც უბრძანებდნენ, თუნდაც ეს ყოფილიყო აფხაზეთის დაკარგვა. მაგრამ ახალ ხელისუფლებას უნდა შეეგნო, რომ შევარდნაძის გზით სიარული დამღუპველია ქვეყნისათვის. ნათელია, რომ სააკაშვილი ჯიუტად აგრძელებს შევარდნაძის გზას. სხვას რას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ საქართველომ უარი განაცხადა ჩარჩოხელშეკრულების ხელმოწერაზე, რაც არ დაუშვებდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების განთავსებას. ეს იგი, რუსეთის ჯარები იმიტომ გამოვიდნენ საქართველოდან, რომ ისინი ნატოს ძალებმა ჩაანაცვლონ? გამოდის, ჩვენ ვუცხადებთ რუსეთს: დაგვიბრუნეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ჩვენ კი იქ ნატოს ჯარებს განვათავსებთ. როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ რუსეთი დაგვეხმარება შიდაკონფლიქტების მოგვარებაში? როგორც ჩანს, საქართველოს ძველ და ახალ ხელისუფლებას არ ესმის, ან არ უნდა შეისმინოს რუსეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მნიშვნელობა. დავუშვათ, რომ მათ დიდად არ ანაღვლებთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედი, რადგან ქართული პოლიტიკური ელიტა უკვე შინაგანად შეურიგდა იმ აზრს, რომ ეს რეგიონები დაკარგულია და ამას არც მალავენ უცხოელ ექსპერტებთან პირად საუბრებში. მხოლოდ ზოგიერთ პოლიტიკოსს აქვს იმის იმედი, რომ ძალისმიერი მეთოდებით დაიბრუნებენ სამხრეთ ოსეთს, აფხაზეთზე კი საერთოდ აღარ საუბრობენ. მაგრამ, ვერ გამიგია, რუსეთთან ურთიერთობაში რატომ არ უნდა გაითვალისწინო საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ საქართველოს სამრეწველო და სა-

გაგრძელება მე-5 გვ.

ჭკივილი ჭკივილად რჩება, დრო კი აღარ ითმენს...

დასასრული

სოფლო-სამეურნეო პოტენციალის განადგურების მთავარი მიზეზი გახლდათ რუსეთის სამომხმარებლო ბაზრის დაკარგვა. სხვა ბაზარი ჩვენ არ გაგვაჩნია და კიდევ დიდხანს არ გვექნება, შეიძლება არც არასოდეს. ჩვენი პოლიტიკოსები და ადგილობრივი **"ოლიგარქები"** ხომ ფინანსებს და ქონებას აგროვებდნენ რუსეთის ბაზრებიდან შემოდენილი თანხებით. ვიღაც **"ჭაუის კოლოფმა"** ამას წინათ საქართველოს პარლამენტში განაცხადა, რომ საქართველო მალე დაიკავებს ადგილს სხვა ბაზარზეო. სამწუხაროდ, ეს არ გახლავთ მხოლოდ მისი სულელური გამონათქვამი, ამ აზრს პარლამენტის უმრავლესობაც იზიარებს. როცა რუსეთზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იქ მილიონამდე ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს და არამც თუ საკუთარ თავს ირჩენს, არამედ ყოველწლიურად მილიარდ დოლარამდე თანხას აგზავნის სამშობლოში. განა ეს თანხა არ არეგულირებს საქართველოში ეროვნული ვალუტის ბრუნვას? შეიძლება, მტრად მოვეკიდოთ ასეთ სახელმწიფოს? რატომ? მით უმეტეს, რომ ამ ურთიერთობათა დარეგულირება სრულიადაც არ გახლავთ ძნელი საქმე. საკმარისია უარი თქვა მარიონეტის ფუნქციაზე, ბრმად არ აჰყვე სხვის ნებას და საგარეო პოლიტიკა განახორციელო ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. იგივე ამერიკელებს უნდა განვუმარტოთ, რომ არ შეიძლება მხოლოდ მათი ინტერესების ასპროცენტიანად რეალიზება, რომ საქართველოს გააჩნია საკუთარი ინტერესებიც. მე მესმის, რომ ჩვენს ხელისუფლებას არ სურთ ამერიკელებთან ურთიერთობის გამწვავება, რადგან კარგად იციან, თუ როგორ ეპყრობიან ამერიკელები ურჩებს, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას მაინც შეუძლია დაარწმუნოს ამერიკელები, რომ გათვალისწინებული იქნება მათი მოთხოვნების 70 პროცენტი, 30 პროცენტში კი საქართველო თავის ინტერესებს ჩაატევს. თუ ქართველი ხალხი იგრძნობს საკუთარი ხელისუფლების მხარდაჭერასა და ზრუნვას, იგი თავად დაიცავს მას და ამერიკელები ვერასგზით ვერ მოახერხებენ საქართველოს მთავრობის დამხობას.

– ახლახან მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სწორედ ამერიკელები დაეხმარებიან მას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

– ის, თუ როგორ შეუძლიათ ამერიკელებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კოსოვოს მაგალითმა დაგვანახა. აბორიგენ მართლმადიდებელ სერბებს ძირძველი მიწები ჩამოართვეს, გვიან შემოსულ მუსულმან ალბანელებს გადასცეს და 300.000 სერბი ისტორიული სამშობლოდან გააძევეს. ნადგურდება კოსოვოში სერბთა არსებობის ყოველი ნიშან-წყალი. ნატოს ჯარების იქ ყოფნის პერიოდში გაიძარცვა და დაინგრა 140 მართლმადიდებლური ეკლესია და მონასტერი. კოსოვო ხომ სერბებისათვის იგივეა, რაც ერთად აღებული მცხეთა და მესხეთ-ჯავახეთი ქართველებისათვის. კოსოვო სერბთა მართლმადიდებლური სულიერების აკვანია. (საქართველომ კი პირველად მაშინ იგემა დიდი სირცხვილი მართლმადიდებლურ სამყაროში, როცა შევარდნაძემ საჯაროდ მოიწონა ნატოს მიერ სერბეთის დაბომბვა. ეს იმდენად დიდი უსამართლობა იყო, რომ მუსულმანური ქვეყნებიც კი დადუმდნენ, მაგრამ ამ **"დიდმა მართლმადიდებელმა"** შანსი არ გაუშვა ხელიდან, რომ პირველს გამოეთქვა პირმოთნული აღტაცება ამერიკელი პატრონების ამგვარი ვანდალური საქციელის გამო). დღეს ამერიკელები ფართო პროპაგანდას უწევენ **"კოსოვოს სქემას"**, როგორც კონფლიქტების მოგვარების ეფექტურ გზას და ცდილობენ მის დანერგვას საერთაშორისო პრაქტიკაში. **"ეფექტურობის"** არსი კი ქვეყნის შუაზე გახლეჩაში, სადემარკაციო ხაზის გავლებასა და განცალკევებული სახელმწიფოების სუვერენიტეტის აღიარებაში მდგომარეობს. ასე დაყვეს მათ რამდენიმე სახელმწიფოდ იუგოსლავია, მალე ეს ხვედრი ერაყსაც ელის, სადაც ერთი ცივილური სახელმწიფოს ნაცვლად მსოფლიო მიიღებს სამ რელიგიურ-ფუნდამენტალურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს. სამწუხაროდ, ამგვარი სქემის გავრცელებას ემსახურებიან არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს წევრი ქვეყნები, არამედ რუსეთის გავლენიანი წრეებიც. ამერიკული სქემის რეალიზაცია საქართველოსათვის წარმოადგენს ქვეყნის საბოლოოდ დანაწევრებას და მისგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩამოცილებას. ვშიშობ, რომ ჯავახელ სომეხთა გააქტიურებაც ამერიკის **"დახმარების"** მოლოდინით არის განპირობებული. ამიტომ, ამას წინათ მოსკოვში გამართულ ევროპულ ფორუმზე მე კატეგორიულად დავგმე ეს სქემა და მას ანტისაკაცობრიო, უზნეო და კონტრპროდუქტიული ვუწოდე. სამწუხაროდ, ხმათა უმრავლესობით კოსოვოს ვარიანტი მაინც მიღებულ იქნა. ეს კი უკვე ცუდი სიგნალია. მაგრამ უფრო ცუდი სიგნალია საქართველოს ხელისუფლების მიერ იმის გაუღერება, რომ კონფლიქტები ამერიკელებმა და ნატომ უნდა მოაგვარონ. ეს მიანიშნებს, რომ ხელისუფლებამ ხელი ჩაიქნია ჩამოცილებულ რეგიონებზე. ეს ძალზე დამამწუხრებელია, რადგან სურვილის შემთხვევაში ჩვენ გაგვიჩნდებოდა შიდა კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობები, რომლის მეათედსაც არ ვიყენებთ.

– ყველასათვის ცნობილია, რომ თქვენ ახლო ურთიერთობები გაგაჩნიათ აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან, გარდა ამისა, თქვენი ვაჟიშვილის სიმამრი – ოთარ არშბა არა მხოლოდ რუსეთის დუმის ყველაზე მდიდარი დეპუტატია, არამედ ყველაზე გავლენიანი აფხაზიც. ხომ არ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება, რომ გამოიყენოს თქვენი კავშირები აფხაზეთსა და რუსეთში, რათა აფხაზებთან დაწყებულ იქნას ხარისხობრივად სრულიად ახალი დიალოგი?

– არასოდეს უცდიათ. არსებობს კი იმის მცდელობა, რომ გამოყენებულ იქნას რუსეთში საქართველოს დიასპორის კავშირები? ან ვინმე იყენებს დევნილთა პირად შესაძლებლობებს? ან სამეგრელოს რეგიონის ურთიერთობებს აფხაზებთან? ან კი, ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული პოზიციების აღდგენა? ქართველი პოლიტიკოსები საკუთარი ღირსების დაკნინებად მიიჩნევენ პირდაპირი ურთიერთობების განმტკიცებას ადიღეებთან, აბაზგებთან, ყაბარდოელებთან, ჩერქეზებთან, ლეკებთან. სამაგიეროდ, ისინი, მსუყე ლუკმის მოლოდინში მონურად უხრიან თავს ამერიკელებსა და ევროპელებს. მათ ავიწყდებათ, რომ ცხოვრობენ კავკასიაში, კავკასიელი ხალხების, ირანისა და თურქეთის გარემოცვაში. ჩემის აზრით, ამ ქართველმა პოლიტიკოსებმა მართლაც ირწმუნეს ის აბსურდი, რომ ჩვენ ევროპის ნაწილი ვართ, რომ ჩვენ ევროპას ვჭირდებით, ზოგიერთები კი ალბათ საქართველოს 52-ე ამერიკულ შტატად გადაქცევაზეც კი ოცნებობენ და სჯერათ, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. მათი განათლების დონიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მეტად მწყრალი წარმოდგენა გააჩნიათ გეოგრაფიულ კატეგორიებზე.

თქვენ მართებულად მიანიშნეთ აფხაზებთან ხარისხობრივად ახალ დიალოგის წარმართვის აუცილებლობაზე. სწორედ ასეთი დიალოგით უნდა წარიმართოს მოლაპარაკებები ახლა აფხაზებთან, ოსებთან და რუსეთის ხელისუფლებასთანაც. ამ დიალოგის დაყოვნება შეიძლება კატასტროფად ექცეს საქართველოს. დრო უკვე აღარ ითმენს. მაგალითად, მე მიმაჩნია, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღსადგენად ჩვენ დაგვრჩა სულ ერთი-ორი წელი. თუ ვლადიმერ პუტინი 2008 წელს დატოვებს რუსეთის პრეზიდენტის პოსტს, კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსები მინიმუმამდე შეიკვეცება.

გაეროს ცისფერჩაფხუტიანები რჩებიან აფხაზეთში, მაგრამ ჩვენ რა?!

გაეროს უშიშროების საბჭომ ოთხი თვით გაუგრძელა მანდატი თავის დამკვირვებლებს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში.

ბოლო მომენტამდე იყო საფრთხე, რომ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი გაეროს უშიშროების საბჭოზე ვეტოს დაადებდა ამ დადგენილებას, თუმცა რუსეთმა კეთილი ნება გამოიჩინა და დადგენილება ერთხმად იქნა მიღებული.

ოფიციალური თბილისი გამარჯვებად მიიჩნევს იმას, რომ არ გავიდა აფხაზი სეპარატისტების მოთხოვნა, მისიას დარქმეოდა **"გაეროს მისია აფხაზეთში"** და არა – საქართველოში.

თუმცა, ეს გამარჯვება საკმაოდ საკამათოა, რადგან გაერომ საერთოდ მოუხსნა სახელი მისისა და მას უბრალოდ **"გაეროს მისია"** დაარქვა, ყოველგვარი გეოგრაფიული სახელწოდების გარეშე, თითქოს საქართველო საერთოდ არ არსებობდეს.

ოფიციალური თბილისის **"ხბოს აღტაცებით"** მიიჩნევს წარმატებად იმასაც, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში წერია,– აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს 12-კილომეტრიანი ზონიდან გატანილი უნდა იქნას შეიარაღება, ხოლო 24-კილომეტრიანი ზონიდან – მძიმე ტექნიკაო.

იქნება თუ არა ეს კონფლიქტის საზღვრის დემილიტარიზაცია?

აგვისტოს ომამდე მდინარე ენგურის ორივე მხარეს უკვე მოქმედებდა 12 და 24 კილომეტრიანი ზონების წესი, მაგრამ ის მაშინ მხოლოდ აფხაზურ და ქართულ ძალებს ეხებოდა. რუს ცისფერჩაფხუტიანებს სწორედ ამ ზონებში (მდინარე ენგურის ორივე მხარეს) განთავსებული ჰქონდათ მძიმე საბრძოლო ტექნიკა (ჯავშანტრანსპორტიორები და ნაღმტყორცნები).

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საერთოდ გაუქმდა **დსთ**-ს ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების სამშვიდობო ძალების მანდატი და ე.წ. რუსული სამშვიდობო მისია დამთავრდა (სხვათა შორის, მოსკოვის ინიციატივით).

რუსი ცისფერჩაფხუტიანები აღარ არიან მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ურთის ბაზაზე.

წესით, გაეროს უშიშროების საბჭოს დადგენილებაში აღნიშნული უსაფრთხოების 12 და 24 კილომეტრიანი ზონების დაცვა ერთნაირად უნდა შეეხოს მდინარე ენგურის მარცხენა მხარეზე მყოფ ქართულ ძალებს, ისევე როგორც მდინარის მარჯვენა მხარეზე მყოფი აფხაზებისა და რუსების შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკას, რადგან წარსულისაგან განსხვავებით რუს სამხედროებს აღარ აქვთ სამშვიდობო ძალების სტატუსი.

თუ ეს მართლაც განხორციელდა, მაშინ მნიშვნელოვნად მოიკლებს კონფლიქტის ზონის საზღვრისპირა სახიფათო ინციდენტის რიცხვი, რასაც ორივე მხარეს ეწირება ხალხი.

მაგრამ ამის განხორციელება საეჭვოა, ხოლო გაეროს წარმომადგენელთა იმედი – ძალზე მცირე. აგვისტოს ომის დროს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში გაეროს 131 სამხედრო დამკვირვებელი და 20 პოლიციელი მუშაობდა, მაგრამ მათ თითქმის არაფერი იღონეს საიმისოდ, რომ ხელი შეეშალათ შეტევისათვის კოდორის ხეობის ქართულ სოფლებზე, ისევე, როგორც სენაკსა და ზუგდიდზე.

თითქმის ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ეუთომაც, რომლის სამხედრო დამკვირვებელთა მისია 4 თვით გაგრძელდება.

ამ შემთხვევაშიც, ოსი სეპარატისტები მოითხოვდნენ, მისიას აღარ **დარქმეოდა "ეუთოს მისია საქართველოში"**. საბოლოოდ ეუთომ, ისევე როგორც გაერომ, კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო. მისიას დარჩება სახელი **"ეუთოს მისია საქართველოში",** მაგრამ ეუთოს სამხედრო დამკვირვებლებს (20-მდე შეუიარაღებელი სამხედრო სახვადასხვა ქვეყნიდან) მუშაობის საშუალება მხოლოდ ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე ექნებათ, მათ სეპარატისტულ ზონებში არ შეუშვებენ.

რაიმე სასარგებლო პრაქტიკული მნიშვნელობა ეუთოს ამ დადგენილებას ნაკლებად ექნება, რადგან სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ისედაც არ უშვებენ ვეროკავშირის რამდენიმე ასეულ სამხედრო დამკვირვებელს და თუკი მათ კიდევ ორ ათეულამდე ეუთოს სამხედრო დამკვირვებელიც დაემატა, ეს არაფერს შეცვლის. უბრალოდ, გორის სიახლოვეს მომრავლდება მათი ცისფერნომრიანი ჯიპები, საღამოს კი თბილისის საუკეთესო ღამის ბარები და რესტორნები დროს ტარების მოყვარული უცხოელი სამხედრო დამკვირვებლებით იქნება გადავსებული

მიხეილ სააკაშვილი BBC-ის კორესპონდენტის თვალით

ოპოზიცია უმრავლესობა სააკაშვილს ადანაშაულებს – ქვეყანა შავ დღეში ჩააგდოო და გადადგომისაკენ მოუწოდებს. ბი-ბი-სის კორესპონდენტი **რეი ფურლონგი** ქვეყანაში მოგზაურობისას ახლდა სააკაშვილს და ფიქრობს, რომ ოპოზიციონერთა ბობოქრობა პრეზიდენტის ოპტიმიზმს სულაც არ ანელებს.

ძნელია აღწერა იმ გრძნობისა, რომელიც პოლიციელთა მანქანების სირენების თანხლებით უსწრაფესად მიმავალ მანქანაში ჯდომისას გეუფლება. შემდეგ, მე თბილისის ქუჩაში პრეზიდენტ სააკაშვილს მივდევ.

პრეზიდენტი ენერგიულად მიაბიჯებდა, მე და ვიდეოოპერატორი ძლივს ვეწევით. სურათს უნდა ეჩვენებინა, რომ ომის მიუხედავად, საქართველო კვლავინდებურად მიმზიდველია ინვესტორებისათვის. საქართველოში კი უმუშევრობა 13 პროცენტს აღწევს – ეს კავკასიის რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

შესძლებს კი საქართველო ქვეყნის აღდგენას და გლობალური ეკონომიკური კრიზისისათვის თავის გართმევას-მეთქი? – ვკითხე.

რასაკვირველია, ჩვენ არც დაზა ვართ და არც კოსოვოო,– მიპასუხა.

პრეზიდენტს ოპოზიციის და მასმედიის შესახებ ვკითხე.

"ბევრი ოპოზიციური არხი არსებობს, რომლებიც გამუდმებით მლანძღავენ. დედაჩემს ეს ძალიან სწყინს, მაგრამ მე მიყვარს მათი ყურება – სიცილს მგვრის" – მიპასუხა მან.

პრეზიდენტს ვთხოვე, კონკრეტული მაგალითი მოეყვანა. ახალი რეალური შოუ დამისახელა, რომელზეც თბილისში ახლა ყველა ლაპარაკობს. შოუში ცნობილი მომღერალი ციხის საკნის მსგავს ოთახში ჩაიკეტა და აცხადებს,– სანამ ქვეყანაში ახალი არჩევნები არ ჩატარდება, აქედან გამომსვლელი არ ვარო. ბათუმის სამშენებლო მოედანზე, ზღვის ნაპირას. გამართულ სადილზე, სააკაშვილი ლაპარაკობდა ქალაქში ახალ მშენებლობებზე.

"ცოტათი დუბაის დაემსგავსება", – თქვა მან და ახალგამომცხვარი პურის ნაჭერს დასწვდა. მაგიდა სავსე იყო კერძებით: შემწვარი თევზი, ბადრიჯანი, ბროწეული და ქართული შავი ღვინო. მიშა მადიანად მირთმევდა და ჰყვებოდა კიევში სტუდენტობისას როგორ უმასპინძლდებოდა მოსკოველ მეგობრებს **"მაკდონალდსის"** კაფედან წამოღებული ჰამბურგერებით. აი, სწორედ უბრალოებამ მიაღწევინა პოპულარობას. მაგრამ ახლა მისი პოპულარობა სიმტკიცის გამოცდას გადის.

საქართველოში ერთი კვირა დავყავი და ვისაც ველაპარაკე, არავის ჰქონდა შემოსავლის მუდმივი წყარო. გორის ბაზარში პენსიონერები მზესუმზირას ჰყიდიან. ახალგაზრდა ქალმა მითხრა, ჩემს ქმარს სამუშაო არასოდეს ჰქონია, ხალხი გაღიზიანებულია, ნერვიულობს, მაგრამ ამის გამოსასწორებლად არავინ ზრუნავს. სოფლებში, სადაც ჩვენ გავიარეთ, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა. ზოგიერთმა მათგანმა სახლ-კარი ჯერ კიდევ 1993 წელს, პირველ ომში დაკარგა.

როცა ამის შესახებ პრეზიდენტს ვუამბე, აღიარა, რომ ზოგიერთ ქართველს მძიმე დღეები უდგას. მან მითხრა, – ჩვენ ისეთი პატარა ქვეყანა გვაქვს, წინ გასაწევად ბევრი არ გვინდა, დიდი-დიდი რამდენიმე მილიონი და დიდი განსხვავება იქნებაო.

დაბრუნებისას ვფიქრობდი ლიდერზე, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ პოსტს შერჩა, მაგრამ რომლის წინაშე დიდი პრობლემებია...

საქართველოს საამაყო შვილები სამეგრელოდან



შალვა დადიანი

შალვა დადიანი დაიბადა 1874 წლის 8 მაისს დაბა ზესტაფონში, დედულეთში. მომავალი მწერლის მამა მე-19 საუკუნის თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა. ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, ისტორიკოსის, ასტრონომის, ექიმის, ნიკო დადიანის ოჯახი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ საქართველოში. ოთხი წლის შალვა დედით დაობლდა და არსებული ტრადიციების მიუხედავად, შვილის აღზრდა მამამ იკისრა. ოჯახი ერთხანს სოფელ ბეთლემში (ბერთემი) ცხოვრობდა, 1892 წელს კი ქუთაისში გადავიდა. ამ დროს ქუთაისი ქართული კულტურის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. ნიკო დადიანთან დაახლოებულები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და სხვები. შალვას კლასიკური განათლება არ მიუღია, მისი სკოლა ოჯახი იყო.

19 წლის ახალგაზრდამ, 1893 წლის 2 თებერვალს, პირველად მიიღო მონაწილეობა კოტე მესხის რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლში **"მარგარიტა გოტიე"**, რომელიც თავადვე თარგმნა. სცენაზე შალვა **"ქუჯის"** ფსევდონიმით გამოვიდა. მის დებიუტს იღბლიანს ვერ დაარქმევს ადამიანი. გაზეთი **"ივერია"** წერდა: **"ბატონ ქუჯს გრაფ დეჟირეის როლში ლაქიასავით ეჭირა თავი. მაგრამ ამ არტისტს პირველად ვხედავთ ჩვენს სცენაზე, სცენის ნიჭი – კი ეტყობა და შეუძლია კარგი არტისტი დადგეს"**.

შალვა დადიანმა მწერლობა მსახიობობაზე ადრე დაიწყო. 1888 წელს იგი სცემს ხელნაწერ ჟურნალს **"მოზარდი"**. ლექსების პირველი კრებულიც 1892 წელს დასტამბა **"ნაპერწკალის"** სახელწოდებით. 1896 წელს შალვა გაზეთ **"ივერიის"** რედაქციას უგზავნის პირველ მოთხრობას **"წმინდა ცრემლები"**. იმხანად გაზეთს ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა და... **"წარმოიდგინეთ ჩემი გახარება,** – იგონებდა შალვა დადიანი, – **როდესაც გაზეთის ფელეტონში ჩამწკრივებულად ჩემი მოთხრობა დავინახე"**.

1903 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად შალვა მოსკოვში მიდის. ატესტატის უქონლობის გამო მალე სამშობლოში ბრუნდება. ერთხანს ქუთაისშია და ლადო მესხიშვილის დასში მონაწილეობს.

1908 წელს შალვა დადიანმა ჩამოაყალიბა მოგზაური დასი და შემოიარა საქართველო, იყო ბაქოში, ნოვოროსიისკში. მის სახელთანაა დაკავშირებული ბათუმისა და სოხუმის თეატრების დაარსება.

შალვა დადიანი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა განათლების კომისარიატთან ჩამოყალიბებულ თეატრალურ განყოფილებას, ქართული კულტურის სახლს მოსკოვში, ქართულ დრამატულ სტუდიას, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას.

აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად შალვა დადიანი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის დიდი ეპიკური ტილოები: **"გიორგი რუსი"**, **"ურდუმი"**, **"გვირგვლიანების ოჯახი"**; ასამდე მოთხრობა, ნოველა, პიესები: **"კაკალ გულში"**, **"ნაპერწკლიდან"**, **"თეთნულდი"**, **"გუშინდელნი"** – სულ 20 ორიგინალური და გადმოკეთებული დრამატული ნაწარმოები.

შალვა დადიანი არის ქართული კინოხელოვნების დაუდალავი მოღვაწე. მან დაწერა კინოსცენარები: **"ვეფხისტყაოსანი"**, **"მოძღვარი"**, **"ჩვენი ქვეყნის რაინდი"**, **"ნიკო და ნიკორა"**. როგორც მსახიობმა, მან სამასამდე სახე შექმნა სცენაზე და კინოში.

შალვა დადიანის ნიჭი და შემოქმედება 20-იანი წლების შემდგომ პერიოდში გაიფურჩქნა. ეს არც დაუმალია მწერალს. იგი წერდა: **"საქართველომ მომცა ახალი ადამიანის სახე, გამიმდიდრა თემატიკა, გამიფართოვა არე და ამავე დროს მოვალეობა დამაკისრა ახალი ადამიანის წინაშე, ვთქვა ჩემი სიტყვა ახალ ადამიანზე და მეც ვცდილობ ჩემს უკანასკნელ თხზულებებში ვაჩვენო სწორი სურათი დღევანდელობისა"**.

მწერალსა და მსახიობს სიცოცხლეში სამჯერ გადაუხადეს იუბილე 1923, 1939 და 1944 წლებში. პირველი იუბილის დღეებში მას მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

ჯერ კიდევ 1923 წელს შალვა დადიანის ბენეფისზე იოსებ გრიშაშვილმა თქვა: **"ქართული კულტურის რომელი დარგიც არ უნდა დავასახელოთ, შალვა დადიანი, როგორც სამფერი ძაფი, ნაზად ექსოვება ჩვენს ეროვნულ ხალიჩას... შალვა დადიანი, როგორც მწერალი, სულ ახალი მოვლენაა ჩვენთვის, მისი ყოველი სიტყვა ყალიბშია ჩამდგარი, მოკვეთილი და თავაზიანია. შალვა დადიანის კალამმა იცის საზღვრები: სად უნდა დაიხიოს და სად გადავიდეს შეტევაზე"**. მართლაც და შალვა დადიანმა, როგორც მწერალმა, დრამატურგმა, მსახიობმა და საზოგადო მოღვაწემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში.

შალვა დადიანი გარდაიცვალა 1959 წელს, დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

მისი ნაწარმოებები უცხოეთის მრავალ ენაზეა თარგმნილი.

აკაკი ჭანტურია

არიან ადამიანები, რომლებიც შეუმჩნევლად მოევლინებიან ქვეყანას, შემდეგ ასევე შეუმჩნევლად იღვწიან, უდიდეს მამულიშვილურ საქმეს აკეთებენ და შეუმჩნევლად გაერიდებიან ხოლმე წუთისოფელს. მხოლოდ მაშინ მივხვდებით, თუ რა დიდი ადამიანი დაჰკარგა საქართველომ. ჩვენი ისტორიული მოვალეობაა მომავალ თაობებს შევუნახოთ ამ საამაყო მამულიშვილთა სახელები. სწორედ ამგვარ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება აკაკი ჭანტურია, რომლის ღვაწლის შესახებ საქართველოში თითქმის არაფერი იციან, და არც გვეცოდინებოდა, რომ არა ზუგდიდის დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარის, მწერლისა და ჟურნალისტის გიორგი კალანდიას მიერ გამოცემული შესანიშნავად დასტამბული წიგნი "გაძარცვული საგანძური", რომელშიც აღწერილია აკაკი ჭანტურიას ცხოვრება და საქმიანობა. გაზეთი "ილორი" მთელი სამეგრელოს მოსახლეობის სახელით მადლობას უხდის ბატონ გიორგი კალანდიას იმ ფასდაუდებელი ნაშრომისათვის, რომელმაც თაობებს შემოუნახა ამ საოცრად განსწავლული ადამიანის სახელი.



ქეით უოლტერ ბოული

აკაკი ჭანტურია 1881 წლის 12 თებერვალს დაიბადა მდინარე ინწირა-მოროჟას ნაპირებზე მდებარე სოფელ ჩქვალერში. იგი მღვდელ ივანე ჭანტურიას და ქალბატონ ხანძე შამუგიას მეხუთე შვილი გახლდათ. მამა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა და აკაკი უფროსმა ძმებმა გაზარდეს. პირველდაწყებითი განათლება მან ახალსენაკის 4-კლასიან სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ კი დამოუკიდებლად იღებდა განათლებას და მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკის წყალობით შეისწავლა ინგლისური ენაც.

სწავლას მოწყურებულმა ჭაბუკმა უცხოეთში გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ საამისო თანხა რომ შეეგროვებინა, ბათუმში დაიწყო მუშაობა როტშილდის ქარხანაში.

მალე იგი ინგლისში გაემგზავრა და მუშაობას შეუდგა მუზეუმში, თან ინგლისის გეოლოგიურ და არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობდა. მალე მან ლონდონის უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ამავე პერიოდში, როგორც თავისუფალმა მსმენელმა, შეისწავლა არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორია, კარტოგრაფია, სამუზეუმო საქმე, ფილოლოგია ფოლკლორი და ხელოვნება. როგორც ისტორიული წყაროები დადადებენ (თავად ბატონი ა. ჭანტურია, თურმე, ფრიად სიტყვაძუნწი ხდებოდა, როცა თუნდაც მეგობრების წრეში საუბარი მის მოგზაურობაზე ჩამოვარდებოდა) ამავე დროს აკაკიმ იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო. მის პირად ანკეტაში ჩამოთვლილია მეცნიერის მიერ შემოვლილი შემდეგი ქვეყნები: **"ევრაზიის ყველა სახელმწიფო, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, აზიის არქიპელაგი, ინდოეთი, არაბეთი, პალესტინა და სხვა"**.

აქედან გამომდინარე, აკაკი ჭანტურია გახლდათ პირველი ქართველი, ვინც უაღრესად ძნელბედობის ჟამს მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა.

აკაკი საქართველოში 1912 წელს დაბრუნდა, სამეგრელოში შეაგროვა დიდძალი გეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალა, დაახარისხა და მამაპაპეული ოდის დარბაზში მოაწყო გამოფენა, რომელსაც შემდეგ უძღვნა საკვალიფიკაციო ნაშრომი **"საქართველოს გეოლოგია"**. ეს ნაშრომი ლონდონში 1919 წელს გამოიცა ინგლისურ ენაზე.

1914 წელს იგი უკვე რუსეთში გაემგზავრა და გაეცნო ოდესის, ხარკოვის, მოსკოვის, ტარტუს და პეტერბურგის უნივერსიტეტებში მოღვაწე კოლეგებს, იქიდან კი კვლავ ლონდონში გაემგზავრა. ეს ის პერიოდია, როცა გერმანიის ავიაცია გამუდმებით ბომბავდა ინგლისის ქალაქებს, მაგრამ ამას სრულიადაც არ შეუცვლია აკაკი ჭანტურიას მუშაობის გრაფიკი – მან სწავლა დაამთავრა და მიიღო ბაკალავრის სამეცნიერო წოდება. რამდენიმე ხანი ამერიკაში დაჰყო, კვლავ ლონდონში დაბრუნდა და 1919 წელს ცოლად შეირთო ლონდონელი ქალიშვილი ქეით (ქეთრინ) უოლტერ ბოული.

1920 წელს აკაკი საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში. მისმა მეუღლემ – მომხიბლველმა ინგლისელმა ქალბატონმა ძალიან შეიყვარა ქართველები და უამრავი სასიკეთო საქმე გააკეთა ჩვენი სამშობლოსათვის.

1921 წლამდე ჭანტურიების ოჯახი სოფელ ჩქვალერში დარჩა, სადაც ცოლქმარმა, მეზობლებისა და ნათესავების დახმარებით მამისეული სახლ-კარი მოიყვანეს წესრიგში. შემდეგ აკაკი ზუგდიდის მუზეუმის დირექტორად დაინიშნა. პრაქტიკულად შეუძლებელია თუნდაც ყველაზე დიდ საგაზეთო პუბლიკაციაში ჩაატიო ის ტიტანური გარჯა და ენერგია, რაც აკაკი ჭანტურიამ შეალია ქართული სამუზეუმო დარგის აღორძინების საქმეს, ის, თუ როგორ აგროვებდა იგი სამეგრელოს სხვადახვა სოფლებში მიმოფანტულ ნაპოლენ ბონაპარტესთან დაკავშირებულ თუ სხვა სამუზეუმო საგანძურს და რარიტეტებს, ის, რომ რევკომის თავმჯდომარეს უკან მოატანინა უკანონოდ მითვისებული დადიანების სერვიზი და საბჭოთა სასადილოებისათვის გადაცემული დედოფლის ჭურჭელი, რაც მას კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

უბრალოდ, ვეტყვით მკითხველს, რომ დიდ მეცნიერთან დაკავშირებული ინტრიგები და ბატალიები საინტერესოდ არის ასახული ბატონ გიორგი კალანდიას წიგნში **"გაძარცული საგანძური"**. საინტერესოა ისიც, რომ მან ბაქოში მოიძია ნაპოლეონის საკორონაციო მანტია და სხვა ძვირფასეულობანი, ხელმრუდ ბოლშევიკებს უკან დააბრუნებინა ნაპოლეონ ბონაპარტეს მაგიდის სუფრა....

აკაკი ჭანტურიას დევნა 1937 წლიდან დაიწყო. არაკეთილსინდისიერი თანამშრომლების დაბეზღების შედეგად იგი მუზეუმის დირექტორობიდან მოხსნეს. 1940 წლის 23 ივლისს დიდმა მეცნიერმა სამუდამოდ დასტოვა სიძველეთსაცავი. ამის შემდეგ დადიანების მუზეუმი უკვე იმდენად **"საფუძვლიანად"** გაიძარცვა, რომ მისი სრულად აღდგენა დღემდე არ ხერხდება. ბატონი აკაკი კი ბოლშევიკებმა ბოლომდე მაინც არ გაწირეს, რადგან ყოველივე ქართულის მოძულე სულით გადამთიელებმაც კი იცოდნენ, თუ რაოდენ დიდი ამაგი გასწია ამ შესანიშნავმა მამულიშვილმა ერის წარსულის აღორძინებისათვის.

ყველასაგან მივიწყებული გარდაიცვალა აკაკი ჭანტურია, დიდი მეცნიერი, ერთერთი ნათელი წერტილი ქართული სამუზეუმო საქმისა, რომელმაც შთამომავლობას შემოუნახა უამრავი ძვირფასეულობა და სიძველეთა აღწერები, რაც დღესაც უდიდეს სამსახურს უწევს ქართულ ეროვნულ მეცნიერებას.

ნოკო ხურცია

ქალაქ სენაკიდან სამიოდ კილომეტრში მდებარეობს საქვეყნოდ ცნობილი კურორტი მენჯი, რომელიც ადრე სოფელ ბათარიად იწოდებოდა. სოფლის მინდორში **"დიდ თურქალას"** ანუ **"დიდი თურქობის"** დროს მდგარა თურქთა ბატალიონი, რისთვისაც ეწოდა მას ბათარია. სწორედ ამ სოფელში, ხურციების ოჯახში, 1905 წელს დაიბადა ბიჭი, რომელსაც მოსე უწოდეს. მეტსახელი **"ნოკო"** მას მოგვიანებით დაარქვა დედამ.

ოჯახმა დიდი სუფრა მიუძღვნა პირმშოს დაბადებას. მათ ოჯახში დიდიან-პატარიანად ყველა მდეროდა, ამიტომ, სტუმრებმა კარგად მოილხინეს. ნოკოს მშობლები მშრომელი ადამიანები ყოფილან და ნოკო მათ ბავშვობიდან შეათვისეს შრომას.

პატარა ნოკო თანატოლებთან ერთად ყოველ შობა დილას **"ალილოზე"** დადიოდა და სიმღერით ულოცავდა მეზობლებს შობის დღესასწაულს. ამავე დროს, სოფელში ხშირად იმართებოდა **"ალეგრები"** სადაც ახალგაზრდები ერთმანეთს სიმღერასა და ცეკვაში ეჯიბრებოდნენ. აქ იხვეწებოდა არტისტული ბუნების მქონე ნოკოს საშემსრულებლო ხელოვნება. იგი გაგრაში გაემგზავრა და იქ ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი, რომელიც ხალხურ სიმღერასთან ერთად ქართველ კომპოზიტორთა რომანსებსაც ასრულებდა.

1923 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ამავე დროს, მღეროდა პროფკავშირებთან არსებულ მომღერალთა გუნდში.

1925 წელს ნოკომ ცნობილი ლოტბარი კირილე პაჭკორია გაიცნო, რამაც რადიკალურად შეცვალა მისი ცხოვრება – იგი ჩაირიცხა დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდში. მოგვიანებით კირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საამაყო შვილები სამეგრელოდან

ილე პაჭკორია აღნიშნავდა: **“ნოკო მოვლენა იყო ქართულ სიმღერაში, მისი მსგავსი ტალანტები საუკუნეში ერთხელ იბადებიან. მისი ბადალი მომღერალი საქართველოს სახელმწიფო ანსამბლს არ ჰყოლია და ალბათ წლები დასჭირდება მსგავსის გამოვლენას”.**

1930 წელს ანსამბლმა უკვე მერამდენედ წარმატებით მოიარა რუსეთისა და უკრაინის ქალაქები. 1934 წელს კი ამიერკავკასიის ხალხთა ოლიმპიადაზე გუნდმა სწორედ ნოკო ხურციას განუმეორებელი ვოკალის წყალობით გაიმარჯვა.

1936 წლიდან ნოკო ხურციას შემოქმედებაში იწყება ყველაზე უფრო ნაყოფიერი პერიოდი. მოსკოვის დიდ თეატრში 1937 წლის 3 იანვარს შედგა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდების პირველი გამოსვლა, სადაც ნოკო ხურციამ დასწრეთა დიდი მოწონება და ხანგრძლივი ოვაცია დაიმსახურა. მალე მას მთავრობის მაღალი ჯილდო – **“საპატიო ნიშნის ორდენი”** გადაეცა.

მოსკოვის შემდეგ კონცერტები გაგრძელდა ლენინგრადში, სადაც მაყურებელი ჩვეული აღტაცებით ხვდებოდა ქართული სიმღერებისა და ცეკვების უბადლო შემსრულებლებს.

ნოკო დიდ დროს ანდომებდა ხალხური სიმღერების მოძიებისა და ჩაწერის საქმეს. მან აღადგინა სიმღერები **“უტუს ლაშქრული”, “ოდოია”, “აბა დარეჯან”, “ჭარირა”,** რომლის უბადლო შემსრულებელიც თავად გახლდათ. იგი დაუღლელად მუშაობდა ახალგაზრდა მომღერლებთან.

ნოკოს ლამაზ ხმას ლამაზი ფიზიკური გარეგნობაც ამშვენებდა – მხარბეჯიან ვაჟკაცს ძალიან უხდებოდა თეთრი ჩოხა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ნოკოს სიცოცხლითა და ხალისით სავსე ცხოვრებამ ძალიან მალე გაირბინა – დიდ ხელოვანს უკურნებელი სენი შეეპარა. სარეცელზე წამოიწეოდა და სანახავად მისულ მეგობრებთან ერთად მღეროდა.

სიკვდილსაც ვაჟკაცურად შეეგება, ღიმილით ეთხოვებოდა ყველას. მხოლოდ მეუღლეს შესჩიოდა: **“მარტოდ გტოვებ, უჩემოდ ოჯახის გაძღოლა და სამი მცირეწლოვანი შვილის აღზრდა გაგიჭირდებაო”.**

ნოკო ხურცია 1949 წლის 26 ნოემბერს 44 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი ცხოვრება ერთი შეწყვეტილი სიმღერა გახლდათ. ამიტომ არ დაასრულეს დაწყებული სიმღერა მის საფლავთან მდგარმა მეგობრებმა.

ლეო ბოკერია

დაიბადა 1939 წელს აფხაზეთში. დაამთავრა მოსკოვის სეჩენოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი. ამჟამად არის რუსეთის კარდიოქირურგიის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის დირექტორი. არის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის და რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრი. 2003 წელს აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო კარდიოქირურგად. ის არის ერთადერთი ექიმი პოსტსოციალისტური სივრციდან, რომელიც შეეყვანილია მსოფლიოს ას საუკეთესო ქირურგთა შემადგენლობაში. ბატონი ლეო ბოკერია რუსეთში მოღვაწე მეცნიერ-ინტელიგენტთა იმ თაობას ეკუთვნის, ვისაც საკაშვილმა “ჩარეცხილებს” შორის მიუჩინა ადგილი. ჟურნალისტი ბატონ ბოკერიას ესაუბრა 8-საათიანი ოპერაციის ჩატარების შემდეგ.

– ბატონო ლეო! თქვენ უკვე ქირურგიის მწვერვალებს მიაღწიეთ. ხანგრძლივი ოპერაციები არ გღლით?

– მთელი ჩემი ცხოვრება იმას შევალიე, რომ მეკეთებინა ის, რასაც დღეს ვაკეთებ. საბედნიეროდ, ჯერჯერობით ამის ძალა შემწევს და შესაძლებლობებიც. სხვა ჩემი დანარჩენი თვისება კი ქირურგის დანამატად მიმაჩნია.

ექიმებს არ ენდობიან...

– დღეს თქვენ უაღრესად რთული ოპერაცია გააკეთეთ. რატომ არ მიდიან რუსეთში პაციენტები ექიმთან მანამ, ვიდრე მათი სიცოცხლე საფრთხის წინ არ დადგება?

– ჩემი უცხოელი კოლეგები, რომელთაც რუსებს ოპერაცია გაუკეთეს, მარწმუნებენ რომ საკუთარი ჯანმრთელობისადმი უყურადღებობის მხრივ რუსები აფრიკელებს უტოლდებიან. ხშირად ეს განპირობებულია რუსული კლიმატითა და ეროვნული თავისებურებებით, რაც დაბალ ფიზიკურ აქტიურობაში გამოიხატება. მათ წინაპართა მსგავსად რუსები ხშირად დღეების განმავლობაში ნებივრობენ ღუმელზე, რაც დიდად საზიანოა გულისათვის. ხშირად დამღუპველად მოქმედებს ისეთი წმინდა რუსული ბუნება, როგორიცაა ჯადოსნობისადმი შეურყეველი რწმენა. სერიოზულად დაავადებულებიც კი არ ამჟღავნებენ ექიმთან ვიზიტის სურვილს და საკონსულტაციოდ ექიმბაშებს და მისნებს აკითხავენ ხოლმე. კარდიოლოგია კი მათემატიკასავით ზუსტი მეცნიერებაა.

– ესე იგი, კარდიოლოგიაში სასწაულები არ ხდება?

– რატომაც არა... სხვა მომაკვდინებელ დაავადებათა შორის გულის სისხლძარღვთა დაავადება დღეს თავისუფლად იკურნება. კარდიოქირურგთან მისული ავადმყოფი, რომელიც დაავადებული არითმიის მძიმე ფორმით ან გულის იშემიური დაავადებით, ერთ კვირაში სრულიად გამოჯანსაღებული ბრუნდება შინ. ეს რა, სასწაული არ არის?..

– ადამიანები იმიტომ არ მიდიან ექიმთან, რომ მას არ ენდობიან...

– მე დიდ პატივს ვცემ ჩემს თითოეულ კოლეგას, მათ შორის თვით მიყრუებულ სოფლებში მოღვაწე ექიმებსაც. დარწმუნებული ვარ, რომ ექიმების კვალიფიკაციის დონე ბევრად მაღალია, ვიდრე სხვა დარგის სპეციალისტებისა. მთავარი ისაა,



რომ დღეს მედიცინის მუშაკს არ გააჩნია კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება. აღმაშფოთებელი სტატისტიკაც სახეზეა – თერაპევტები მხოლოდ მაშინ უგზავნიან პაციენტებს კარდიოლოგებს, როცა მათი დაავადება პიკს აღწევს. მაგრამ ეს კეთდება არა ბოროტი განზრახვით. თერაპევტი, უბრალოდ, დარწმუნებულია, რომ შეძლებს გულის დაავადებებთან გამკლავებას. შემდეგ, კარდიოლოგი გარკვეული დრო აკვირდება პაციენტს და უკვე “აფრიკელი პაციენტის” მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი ხოხვით მიდის კარდიოქირურგთან. და ეს იმიტომ, რომ პაციენტის წინაშე პასუხს არავინ აგებს. ამერიკაში ან ევროპაში იმ თერაპევტს, რომელმაც დროზე არ ურჩია ავადმყოფს კარდიოლოგთან მისვლა, სადაზღვევო კომპანიები **“სულს ამოხდიან”.** გარდა ამისა, მედიცინაში უმთავრესია ტრენინგების გავლა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, რაც ხდება გამოცდილ სპეციალისტზე ახალგზდა ექიმის მიმაგრებით. მაგალითად, კარდიოქირურგები უბადლო სპეციალისტები ხდებიან 37 წლის ასაკში. სწორედ ამ ასაკში დაიშვებიან ისინი დამოუკიდებლად საოპერაციო მაგიდასთან. ჩვეულებრივ კლინიკებში კი ექიმები ორდინატურის დამთავრებისთანავე ხდებიან დამოუკიდებლები. ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრგან იგრძნობა პრეპარატებისა და სათანადო სამედიცინო აღჭურვილობის დეფიციტი.

როგორ გავიკაჟოთ სხეული...

– რა არის საჭირო საიმისოდ, რომ კარდიოქირურგის პაციენტი არ გავხდეთ? რა არის ჯანმრთელი გულის გარანტი?

– ამის კოდი ადამიანის სხეულში დაბადებიდან არის ჩადებული. უკვე დამტკიცებულია, რომ ჯანმრთელი მშობლების შვილის გულის პათოლოგია გამოწვეულია ბავშვის დედის მიერ ორსულობის საწყის ეტაპზე გადატანილი ინფექციური დაავადებებით. შემდეგ, აუცილებელია, რომ მშობლებმა ბავშვს ჩაუნერგონ სპორტისა და აქტიური ცხოვრებისადმი სიყვარული. იგი უფრო გამძლე და კოორდინირებული ხდება, რაც მეტად მნიშვნელოვანია გულის ფუნქციონერებისათვის. თუ ამას ბავშვობიდან არ მივაჩვევთ, შემდეგ მისი ცხოვრების წესის შეცვლა გაძნელდება.

– მაგრამ, თუ ზრდასრული ადამიანი ფიზიკური ვარჯიშებით დაინტერესდება? რითი უნდა დაიწყოს მან?

– ამერიკის ძმები მეიოების სახელობის ცნობილი კარდიოკლინიკის სპეციალისტები ამგვარი სურვილის მქონე ადამიანებს ურჩევენ კვირაში ერთხელ ერთსაათიან აქტიურ სიარულს. ერთი თვის შემდეგ დატვირთვა ორ საათამდე იზრდება. ასე, თანდათან ვუმატებთ სავარჯიშო დროს. აქ მთავარია ცხოვრების რეჟიმიც. გულის შეკუმშვის ციკლს ორი თავისებურება გააჩნია – იგი ხშირდება დღისით და ნელდება ღამით, როცა ადამიანი ძილს ეძლევა. ეს გულს აღდგენის საშუალებას აძლევს. ამიტომაა მთავარი, რომ ადამიანი ერთი და იგივე დროს დაწვეს დასაძინებლად, რათა სხეულის ბიოლოგიური საათი საბოლოოდ არ მოიშალოს. თუ ადამიანი ღამის ცვლაში მუშაობს და დღისით სძინავს, ეს რეჟიმი უნდა იქნეს შენარჩუნებული.

მთავარია სპირტიანი სასმელების გამოყენების ნორმებიც. სულ რომ არ დალიო, ესეც სისულელეა. ალკოჰოლი სხეულს ადუნებს, დასვენების საშუალებას აძლევს, ხსნის სტრესს. მაგრამ, სასმელი უნდა იყოს ხარისხიანი.

მთავარია კვების რეჟიმის დაცვაც. არ გახლავთ მართებული თქმა – **“საუზმე მირთვი თავად, სადილი გაუნაწილე მეგობარს, ვახშამი კი მიეცი მტერს”.** სისხამ დილაზე გამოძღომა, როცა სხეულს ჯერ კიდევ სძინავს, ანტიფიზიოლოგიური პროცესია. ღამის შიმშილი კი ხელს უშლის ნერვული სისტემის აღდგენის პროცესს. საჭმელი უნდა მივიღოთ იმდენი, რამდენიც მის მორიგ მიღებამდე გვეყოფა. ჯანმრთელობის კიდევ ერთი გარანტი წონის მუდმივად შენარჩუნება გახლავთ.

ნ.იუდინა

ისტორიული მასალები

ნითელი ნიგნი

პეტრე გელეიშვილი

სადავო არ არის ის ამბავი, რომ ამა თუ იმ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ საკითხზე რამდენიმე ათეული ადამიანის ურთიერთიდენტური შეხედულება საზოგადოებრივი აზრი გახლავთ. ხოლო საზოგადოებრივი აზრი, რომელიც რომელიმე ქვეყანაში ათწლეულებისა და საუკუნეების მანძილზე არ იცვლება, ამ ქვეყნის ეროვნული იდეად იქცევა ხოლმე. მაგრამ, არც ის სენტენცია გახლავთ სადავო, რომ პოლიტიკურად, გეოგრაფიულად, თუ გეოპოლიტიკურად უსაფუძვლო ეროვნული იდეა ეროვნული ბოდვა უფროა, ვიდრე კლასიკური იდეოლოგიური პასაჟი, რასაც ფარდას ხდის შესანიშნავი ქართველი პუბლიცისტი და სახელმწიფო მოღვაწე პეტრე გელეიშვილი. იგი “ყარიბის” ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს. პეტრე გელეიშვილი გახლდათ ფრიად განსწავლული პიროვნება, რომელიც იყო დემოკრატიული საქართველოს პარლამენტის წევრი 1918-1921 წლებში. იგი სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა დემოკრატიული საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ისტორიული მეზობლისა და მეგობრის – რუსეთთან დამოკიდებულებაში, რაც, სამწუხაროდ, გაზიარებულ არ იქნა...

VI. სომეხთა რაზმების მოღვაწეობა

სომეხთა რაზმებში და მათ ლიდერებს შორის ჭეშმარიტად იყვნენ ისინი, ვინც პირნათლად იბრძოდნენ და სისხლს ღვრიდნენ საკუთარი სამშობლოს ტირანიისაგან დასახსნელად. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შორის მაინც ჭარბობდნენ სხვადასხვა კალიბრის ავანტიურისტები. მრავალი მათგანი იბრძოდა მხოლოდ **“ბედნიერებისა და ჩინის მოსაპოვებლად...”.** მაგრამ, თუნდაც დავუშვათ, რომ ეს რაზმები შედგებოდა იდეური ადამიანებისაგან, რომლებიც სომეხი ხალხის განთავისუფლებას ესწრაფვოდნენ, მაშინაც კი მათი მდგომარეობა, როგორც ეროვნული შოვინიზმისა და და სიძულვილის პირობებში აღზრდილებისა, მაინც აუტანელი იქნებოდა მათდამი მტრულად განწყობილ მოსახლეობაში. ბუნებრივია, რომ თურქული ჯარი და მოსახლეობა ზიზღით იყო გამსჭვალული სომხების მიმართ.

ვიდრე კავკასიის რუსული არმია წარმატებებს აღწევდა ბრძოლებში და თურქეთის ტერიტორიაზე წინ მიიწევდა, სომხური რაზმები შესანიშნავად გრძნობდნენ თავს. ისინი გამარჯვების დროშის ფრიალით მისდევდნენ რუსებს, ხელერთპირად წვავდნენ დაცარიელებულ თურქულ და ქურთულ სოფლებს, ბოლოს უღებდნენ ბრძოლების შემდეგ მიწაზე გართხმულ უსუსურ დაჭრილებს, ხოცავდნენ რუსი ჯარისკაცებისა და თვით კაზაკების მიერ დაცულ სამხედრო ტყვეებს... ერთი სიტყვით, სომხები სჩადიოდნენ თურქულ და ქურთულ სოფლებში ზუსტად იმას, რასაც თურქები და ქურთები სომხების მიტოვებულ სოფლებში სჩადიოდნენ. რუსებს კი მათგან განსხვავებული აზრი ჰქონდათ.

მაგრამ, მოდით, საბუთების ენით ვისაუბროთ:

“თითქმის ყველა სამწყობრო ოფიცერი გახლდათ სამხედრო დისციპლინის დარღვევის, სიმხდალის, მოროდიორობის და მშვიდობიან მოსახლეობაზე ძალადობის მხილველი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ არა მხოლოდ სომეხთა სამხედრო რაზმების მხრიდან როგორც თურქეთის, ასევე კავკასიის ოლქებშიც”.

ქვემოთ გამოქვეყნებული საბუთიც მეტყველებს სომეხთა რაზმების ავბედით როლზე მთელ ამ საქმეში და რუსების პოზიციაზე:

“ბრძანება რაზმისადმი №34, 22 ივლისი 1915 წელი, ქალაქი ვანი.

ტყვედ ჩაბარებულ ქურთთა რაზმებს და მათ მეთაურებს უფლება ეძლევათ დაბრუნდნენ მშობლიურ სოფლებში.

ვუბრძანებ ვანის გუბერნატორს, განუმარტოს სომხურ მოსახლეობას, რომ ისინი არ უნდა დაესხნან თავს ქურთთა სოფლებს, არ უნდა გაძარცვონ ისინი, არ უნდა გაანადგურონ და მოწამლონ ქურთთა ნათესები, არ წაართვან მათ საქონელი.

ქურთები სიკვდილის მუქარით გავაფრთხილე, რომ არ გაბედონ მასობრივი გამოსვლების ორგანიზება. მთელ ამ საქმეზე პასუხისმგებლობას ვაკისრებ ვანის გუბერნატორს.

ტყვედ ჩავარდნილი ქურთი და თურქი ქალები, რომლებიც ამჟამად თავს აფარებენ შვეიცარიის და ამერიკის მისიებს, უნდა დაუბრუნდნენ საკუთარ კერებს.

ვავალებ ვანისა და მისი შემოგარენის მაზრის უფროსებს, უზრუნველყონ მინდვრებზე სამუშაოდ გასული ხალხის უსაფრთხოება.

რაზმის მეთაური მ. ნიკოლაევი“.

გაგრძელება მე-8 გვ.

წითელი წიგნი

გაგრძელება

რუსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველთვის იცავდნენ ქურთი მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ზომები ხშირად არ იყო ეფექტური. სომხური რაზმები სისასტიკეში არ ჩამორჩებოდნენ ქურთებს. უფრო მეტიც, ისინი ფიზიკურად ანადგურებდნენ რუსი ჯარისკაცებისა და კაზაკების დაცვაში მყოფ ქურთ სამხედრო ტყვეებს. ამგვარი დანაშაულისათვის **სპეციალური განაჩენით დახვრიტეს** სამი სომეხი მოხალისე რაზმელი: **კურტიკ ტიოსოვი, აზის მინასოვი და მესროპ მელიქოვი**.

ნიკოლაევის ზემოთ მოყვანილმა ბრძანებამ ფეხზე დააყენა სომეხთა ლიდერები.

– როგორ, რუსების მეთაურები ესარჩლებიან ქურთებს? ჩვენ ქურთებთან გვათანასწორებენ?

მათ ყველა ღონეს მიმართეს, რათა ეს ბრძანება გაეუქმებინათ. უპირველესად მას გამოეხმაურა ვანის გუბერნატორი **არამი,** რომელმაც შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა ბაიაზეთის დამცველი ჯარის უფროსს:

"ეს ბრძანება, რომელიც ერთმანეთთან ათანაბრებს სომხებსა და მათი სულის ამომხდელ ქურთებს, გამაოგნებელი იქნება თურქეთში მცხოვრები სომხებისათვის, რომლებიც აქ რუსული სამხედრო ძალის ერთადერთ საყრდენს წარმოადგენენ და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან მას. წარმოიდგინეთ, სომეხი ხალხის გულის აცრუება იმ რუსების მიმართ, რომელიც სომხებს მიაჩნიათ ერთადერთ განმათავისუფლებელ ძალად თურქთა და ქურთთა ძალადობისაგან".

ამავე წერილით არამი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ "რუსეთის ჯარებს ჩაბარებული და მშობლიურ კერაზე დაბრუნებული ნებისმიერი ქურთი გამოცხადდეს სამხედრო ტყვედ ან დამნაშავედ, ამ უკანასკნელთა მიმართ კი გამოყენებული იქნას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა".

და ეს მაშინ, როცა სომხები თავად აღიარებდნენ, რომ ქურთულ სოფლებში დაბრუნდნენ მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები, ქურთთა მეომარი ნაწილი კი ტყეღრეს შეეხიზნა და საბრძოლო მოქმედებებისაგან თავს მხოლოდ იმიტომ იკავებდნენ, რომ რუსებისა და სომხების მხრიდან მშვიდობიან ქურთ მოსახლეობასთან სისხლიანი ანგარიშსწორების ეშინოდათ.

მაგრამ, მხოლოდ **მესროპი, ხატისოვი, არუთინოვი და არამი** როდი მოითხოვდნენ მკაცრი ზომების მიღებას მშვიდობიანი ქურთი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამასვე ესწრაფვოდა სომხური ეკლესიის თავკაცი კათალიკოსი **გეურქ მეხუთეც**. თავის წერილში, რომელიც მან **ვორონცოვ-დაშკოვს** გადაუგზავნა 1915 წლის 4 ივნისს, აღნიშნავდა, რომ რუსმა გენერალმა **აბაციევმა** ენერგიულად დაიცვა ქურთთა მშვიდობიანი მოსახლეობა და არ მისცა სომეხ რაზმელებს მათზე **"ზემოქმედების"** საშუალება. **"სომხებს, რომლებიც იარაღით ხელში ებრძვიან მტერს, გამუდმებით ჩხრეკენ და ართმევენ იარაღს და მათი საომარი შემართება, რუსების მხრიდან, აშკარა დაწოლას განიცდის".**

რუსი სამხედრო მეთაურები, რა თქმა უნდა, ეძებდნენ კავშირებს ქურთ სამხედრო მეთაურებთან, რათა ისინი გადმოებირებინათ საკუთარ მხარეზე. ეს საქმე წარმატებით დაგვირგვინდებოდა, სომხებს რომ არ შეეშალათ ხელი, რომლებიც ქალური ეჭვიანობით იყვნენ ატანილები რუსებისა და ქურთების მიმართ. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ქურთ მეთაურ **რასულ-ბეკ შამშადინოვთან** და მის ცხრა ნათესავთან დაკავშირებული ისტორია.

ეს გავლენიანი ქურთი მეომარი თავის ცხრა ნათესავთან ერთად გამოცხადდა ერევნის გარნიზონში და რუსების მხარეზე გადმოსვლის სურვილი გამოთქვა. ამ გარემოებამ დადებითად იმოქმედა ერევნის რუსული რაზმის მიერ ჩატარებულ ოპერაციაზე და, რაც მთავარია, ქურთთა რაზმებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა რუსეთის არმიის მიმართ, დატოვეს ბრძოლის ველი და ოჯახებში დაბრუნდნენ, მაგრამ რაოდენ დიდი იყო მათი აღშფოთება, როცა მშობლიური სოფლები სომხების მიერ აკლებული და გაძარცული დახვდათ. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ **შამშადინოვი** თავის თანამებრძოლებთან ერთად თურქეთში დაბრუნებულიყო და შური ეძია სომხებზე. სომეხ მეომართა ამ უმსგავსო საქციელს ემსხვერპლა თურქეთის სომეხთა მშვიდობიანი ნაწილი – ორმა ქურთმა ბელადმა **სადიმმა და ჰუსეინმა** თავიანთი რაზმებით ამოხოცეს სომხური სოფლების მოსახლეობა და მიწასთან გაასწორეს მათი სოფლები.

მსოფლიო ომმა ყველაფერი ყირაზე დააყენა – გუშინდელი მეგობრები მტრად მოეკიდნენ ერთმანეთს. ომმა სიგიჟემდე მიიყვანა თვით ცივილიზებული ქვეყნებიც კი. მაგრამ ისეთი საბედისწერო შეცდომა, როგორიც იყო სომხური მოხალისეთა რაზმების შექმნა, არავის არასოდეს დაუშვია ამ ომის ისტორიაში. არავის, გარდა სომეხთა ლიდერებისა, არ გაუკეთებია იმხელა სისულელე, რომ თავისი ხალხი კისერგაშვერილი დაეყენებინა ხმალმომარჯვებული თურქების წინაშე.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ სომეხთა რაზმების შექმნა თურქეთის სომეხთა დიდი ღალატი იყო, რომლებიც მანამდე მშვიდად ცხოვრობდნენ თურქეთის სახელმწიფოში ქურთებისა და თურქების გვერდით. მაგრამ, სომეხთა თავგახურებული ლიდერები უფრო შორს წავიდნენ. იმიტომ, რომ მსოფლიოსათვის დაემტკიცებინათ თავიანთი საქციელის მართებულობა, ისინი აიძულებდნენ თურქეთის სომხურ მოსახლეობას, რომ ეწარმოებინათ ძირგამომთხრელი საქმიანობა მათ სამშობლოს – თურქეთის წინააღმდეგ.

აი, როგორ გულუბრყვილოდ აღწერს სომეხთა ამგვარ **"დამსახურებებზე"** კათალიკოსი **გეურქ მეხუთე ვორონცოვ-დაშკოვისადმი** გაგზავნილ წერილში:

"სომეხი მოსახლეობა ხატებით ხელში გამოდიოდა რუსი ჯარის შესახვედრად. სომხები რუსების გულღია მასპინძლები იყვნენ რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში. ასე ხდება ახლაც, რუსეთ-თურქეთის მიმდინარე ომის დროს".

ამრიგად, სომეხი ლიდერები ღიად მოქმედებდნენ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც მათი თანამემამულეები ცხოვრობდნენ, რაც თურქების რისხვას იწვევდა. სწორედ ამიტომ ისმის შეკითხვა, თუ რატომ ესხმოდნენ თავს თურქები სომხებს და სრულებით არ აწიოკებდნენ თურქეთში მცხოვრებ ბერძნებს, როცა ასევე გააფთრებული ომი მიმდინარეობდა თურქეთსა და საბერძნეთს შორის. პასუხი მარტივია – ამ ომში თურქეთის ბერძენი მოსახლეობა იქცეოდა კორექტულად და ლოიალურად და სრულ ნეიტრალიტეტს იცავდა. იგი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა ომში, ხოლო გარკვეული სიმპატიები მათ დანაშაულად არ ეთვლებოდათ.

თურქეთის სომხური მოსახლეობა კი, მათი ლიდერების კარნახით, ღიად იბრძოდნენ თავიანთი სამშობლოს მტრების მხარეს, რაც იქცა კიდეც თურქებისა და ქურთების რისხვის მიზეზად. და ამას ჩადიოდა სომხეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი...

სომხების უბედურების მიზანს კი გავეცანით, მაგრამ, ვიცით რაიმე ქურთების თაობაზე? მათაც ხომ ასევე დაუნდობლად უსწორდებიან?

რატომ არ აქცევს ყურადღებას ცივილიზებული სამყარო ამ პატარა ერს? იქნებ, მათ არ შეუძლიათ პრესის დაქირავება, რათა მთელ მსოფლიოს უკიჟინონ საკუთარ დამსახურებებზე კაცობრიობის წინაშე? ჩვენ ბევრს ვწერდით თურქეთის სომეხთა დახოცვაზე, მაგრამ, არასდროს გვიწერია იმაზე, რომ თურქები ერთიანად ანადგურებდნენ ქურთთა სოფლებსა და დასახლებებს.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მომავალი ისტორიკოსი აღწერს სომეხთა რაზმების დამსახურებას რუსეთ-თურქეთის ომში და მას შეამკობს არა დაფნის გვირგვინით, არამედ იმ ნანგრევებით, რაც ამ ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგად დარჩა თურქეთის სომხური სოფლებისაგან.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

სამეგრელო და სვანეთი

კორნელი ბოროზდინი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

ჩვენ ზევითა ვთქვით, რომ თავადს ივ. მუხრან-ბატონს ფიქრადაც არ მოსვლია ომერ-ფაშისათვის ინგურში გასვლის დროს წინაღმდეგობა გაეწიაო. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ძალა არ შეწევდა. თუნდაც მთელი თავისი ჯარი სანარმანიოში დაეყენებინა, მაინც ვერ გააჩერებდა მტერს ინგურს გაღმა, რადგან ომერ-ფაშას ჯარი კი 30,000 კაცს არ აღემატებოდა. ინგურზე ადგილმდებარეობა მტერთან საბრძოლველად მეტად უხერხული იყო, მით უფრო რომ ეს მტერი ექვსჯერ ძლიერი იყო, ვიდრე რუსის ჯარი. მაგრამ ეს ალაგი სამეგრელოს კარის ზღურბლად ითვლებოდა და ბრძოლა მაინც უნდა ატეხილიყო. ყოვლად შეუძლებელი იყო რუსის ჯარს გაემარჯვნა ხეთაში, ან მდ. ცივზე (ახალ სენაკთან), ამიტომ რომ მტერი ყველგან სძლევდა: რუსის ჯარი იძულებული გახდებოდა ორივე ადგილიდან აყრილიყო და უბრძოლველად მტრისათვის ჩაეტოვებინა ხელში; თუ სადმე შეიძლებოდა ბრძოლა, ისევ ინგურზე. აქაც რომ არ გამკლავებოდა მტერს მუხრან-ბატონი, მტერი უომრად შემოვიდოდა სამეგრელოში. რაკი თოფის დაუცლელად შემოვიდოდა მტერი ამ ქვეყანაში, მაშინ თუნდაც კარგად წასულიყო რუსის ჯარის საქმე, მეგრელების იმედი არ უნდა ჰქონოდა მუხრან-ბატონს, ოსმალების წინააღმდეგ ვერაფრის გულისათვის ააღებინებდა იარაღს.

ასე იყო, თუ ისე, ინგურზე რუსის ჯარის დამარცხებამ, მუხრან-ბატონის წასვლამ ხეთისაკენ და ოსმალთაგან ზუგდიდის დაპყრობამ შიშის ზარი დასცა სამეგრელოს მკვიდრთ. მცხოვრებთ თავ-ტანი დაჰკარგეს და ყოველი გულადობა გაუქრათ, როცა რიცხვმრავალი ჯარი დაინახეს ომერ-ფაშისა. თავადი მუხრან-ბატონი ხეთაში გამაგრდა და აქ სამს დღეს ელოდებოდა მტერს. მაგრამ ამ დროს სამწუხარო ამბავი მოუვიდა. მეგრელებისაგან შემდგარმა მილიციამ, რომელიც თ. გრიგოლ დადიანის მეთაურობით სოფელ აბასთუმნის მახლობლად იდგა ზემო-სამეგრელოს გზის დასაცველად, თავის უფროსის სურვილის წინააღმდეგ, ამ ადგილს თავი დაანება და თავ-თავის სახლებს მიაშურაო. მუხრან-ბატონს შეეშინდა, აქ რომ გავჩერდე, შეიძლება, მტერი ყველა-მხრით შემომერტყასო, და ხეთიდან დაიძრა. ქართლ-კახეთიდან ჯარს ელოდა, მაგრამ ამ ჯარისა დღემდე ჩამი-ჩუმი არ ესმოდა. ხელთა ჰყავდა რიცხვმცირე ჯარი; არც ადგილობრივნი მკვიდრნი იჩენდენ დახმარების სურვილს, ასე რომ სამეგრელოში დარჩენა მუხრან-ბატონისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ ცხენისწყალს გავიდა და იმერეთში დაგაიყვანა თავისი ჯარი.

მთელი სამეგრელო ომერ-ფაშის ხელში დარჩა.

ახლა ვიკითხოთ, ამ დროს რა ამბავი იყო გორდში, სადაც დედოფალი სცხოვრობდა? ბრძოლის წინადღეს დედოფალი ეკატერინე გორდიდან ქვაშხორში წამოვიდა და აქ დაუწყო ამბავს ლოდინი. რუსის ჯარის დამარცხებისა და ომერ-ფაშის შემოსვლის ამბავი ყველაფერი დაწვრილებით მოუვიდა და ისიც გაეშურა გორდაში შვილებთან. ამ დროს დედობრივის გრძნობის გარდა სხვა ყველა გრძნობანი დაავიწყდა. მტერმა ჩვენს ქვეყანაში ფეხი შემოსდგა და მეც ჩემს ოჯახს უნდა ვუპატრონოვო.

დედოფალთან ამ დროს სტუმრად იყო ივ. მუხრან-ბატონის მეუღლე ნინო, ინგურთან დამარცხებას მთლად მუხრან-ბატონს აბრალებდნენ, ამიტომ კნეინა ნინო ჰფიქრობდა, ყველანი მე მაყვედრიან ჩემი ქმრის დამარცხებასაო. დედოფალი მეტად შეწუხებული და აღელვებული იყო; ნინოც არა ნაკლებ სწუხდა. სწუხდა თავის ძმისწულებისათვის, ბოლოს, სწუხდა თავის რძლისათვისაც. ოქტომბრის 28, ღამით, როცა ყველამ დაიძინა, კნეინა ნინოს ქმრისაგან წერილი მოუვიდა. წაიკითხა თუ არა, დედოფლის საწოლ ოთახში შევადა, საჩქაროზე გააღვიძა და უთხრა: **"ჩქარა წადი აქედან; მეგრელები გაფანტულან; გამომართვი ეს წერილი და წაიკითხე."** ივანე მუხრან-ბატონი, მართლაც, ცოლსა სწერდა, დედოფალს უთხარი, დაუყონებლივ წამოიყვანოს შვილები გორდიდან. გავიდეს იმერეთში და ხონში ჩემს მოსვლას დაელოდოსო. ამ ჟამად დედოფლის და მისის შვილების ყოფნა სამეგრელოში საშიშიაო, რადგან მეგრელების იმედი არ მაქვსო. ბოლოს, მეგრელთა მილიციის გაფანტვას ატყობინებდა.

რა თქმა უნდა, დედოფალმა ეს მოისმინა თუ არა, მუხრან-ბატონის ნათქვამის ასრულებას შეუდგა და დილის ცხრა საათისათვის წასასვლელად მთელი სახლობა მზად იყო; ერთი ათიოდე წუთიც რომ დაჰყოვნებოდა, დედოფალი გზას დაადგებოდა. მაგრამ ამ დროს გორდის მთაზე თავადი კონსტანტინე დადიანი, განსვენებულის მთავრის ძმა, ამოვიდა. თან ახლდა აუარებელი თავად-აზნაურობა, რომ გაიგეს, დედოფალი იმერეთში მიბრძანდებაო, ყველა ერთხმად წინ აღუდგა დედოფლის გადაწყვეტილებას.

მეტად ცხოველსა და საინტერესო სანახავს წარმოადგენდენ ესენი ამ წუთას. მშვენიერი და დიდებულის სახის მოხუცნი მოწიწებით გამოვიდენ წინ და დიდის კრძალვით, გარნა ენერგიულად მოახსენეს თავიანთს დედოფალს:

"მართალია, თავადი მუხრან-ბატონი დამარცხდა. რა ვუყოთ მერე! ვინ არ დამარცხებულა? მაგრამ საქმე ის გახლავსთ, რომ იმას არ უნდა ხელმეორედ შეებას მტერს სამეგრელოში და ეჩქარება სამეგრელოდან იმერეთში გადავიდეს. ამით პირად ჩვენ გვაყენებს შეურაცხყოფას. იმისთვის ვიღაცას უთქვამს, რომ მილიცია დაიქსაქსაო,– მაგრამ ეს ცილისწამებაა; შეიძლება, რამდენიმე კაცი გაქცეულიყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც ყველანი ჩვენ-ჩვენს სახლებში დამალულივიყვეთ! ჩვენ გვიომნია, ვიომეობთ და კიდეც ვიომებთ რუსის მეფისათვის; რუსები და ჩვენ ერთმორწმუნენი ვართ, თურქთა სარწმუნოება ჭირივითა გვძულს და არც გვინდა ბატონად ოსმალეთი გვყავდეს; კარგად გვახსოვს მათი სიტკბო-სიმწარე. სანამ სული გვიდგას, შევძლებთ მხარი მივსცეთ და ოსმალთაგან დავიფაროთ ჩვენი მთავარი და საქმით დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ტყუილადა გვწამებენ მუხანათობას; შენა და მთავარი იმერეთში არ უნდა წახვიდეთ. ჩვენ ყველანი გთხოვთ, ეს არა ჰქნა და რაც მოგივა, ჩენი ბრალი იყოს."

გაგრძელება. მე-9 გვ.

სამეგრელო და სვანეთი

გაგრძელება

აი მოკლე შინაარსი იმ სიტყვებისა, რომლებიც დედოფალს თვისთა ქვეშევრდომთა მოახსენეს.

მაგრამ ყველაზე უფრო რიხიანი სიტყვა უთხრა თავადმა, ფარნაოზ გელოვანმა, ლეჩხუმის მცხოვრებმა, წარმოსადეგმა და დარბაისელმა მოხუცმა:

"დედოფალო, ნუთუ დაგავიწყდა ჩვენი მთები? – უთხრა გელოვანმა დედოფალს. – ისე დავმალავ ამ მთებში შენს შვილს, რომ ვერ ერთმა თურქმა მოაგნოს. რასა ჩქარობ? ისე შეშინებულხარ, რომ ყველანი დაგვიწყებივართ! მუხრან-ბატონმა თავი გაგვანება; შენ კიდევ მთავარს გვაშორებ; მაშინ რაღა ვქნათ ჩვენ? მუხრან-ბატონის დაჭერა არ შეგვეძლო, მაგრამ მთავარს კი არსად გავუშვებთ".

ლაპარაკი რომ გაათავა, გელოვანმა მოატანინა ჯვარი და სახარება და მცირეწლოვან მთავარს და მის დედას შეჰფიცა, ოღონდ თქვენ დაგიფაროთ და ჩემს სიცოცხლესაც არ დავიშურებო. გელოვანს სხვებიც მიჰყვნენ და ყველამ სათითაოდ შეჰფიცეს ერთგულება.

დედოფალს არ შეეძლო გულგრილად მოესმინა მათი ნათქვამი; მის საცოდავს ხალხს, საშინელს გაჭირვებაში ჩავარდნილს, მოღალატეს ეძახდნენ, – არც ეს შეეძლო მოეთმინა. მართალია, მუხრან-ბატონმა მომწერა, მეგრელები ილტვნენო, მუხანათურად მოიქცნენო, მაგრამ იმავე მეგრელების საუკეთესო წარმომადგენელებმა ახლა არ შემომფიცეს, თქვენის შვილისათვის თავს დავდებთო? არა, აქ ადგილი არა აქვს შიშს, მეცა და ჩემი შვილიც უზრუნველყოფილნი ვართო, –გადასწყვიტა დედოფალმა. მუხრან-ბატონი ერთსა სთხოვდა, ხალხის წარმომადგენელნი – სულ სხვას ეუბნებოდნენ, მაგრამ დედოფალი ერთ წამსაც არ დაყოყმებულა, გადასწყვიტა აქ დარჩენა და აქედან ლეჩხუმში წასვლა. სანამ გამოაწყობდენ ბარგ-ბარხანასა, სამი დღე გავიდა. მუხრან-ბატონი ამ დროს ხონში იყო და დედოფალს ხელახლა შემოუთვალა, სამეგრელოდან გამოდიო. ეს წერილი, ცოტა არ იყოს, მკაცრის კილოთი იყო მოწერილი. მაგრამ დედოფალი პირველ გადაწყვეტილებას დაადგა და შეუთვალა, ამ დღეებში ლეჩხუმს მიმყავს ბავშვებიო. ამავე დროს, წერილი მისწერა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს თავადს ვასილ ბებუთოვს და რჩევა-დარიგება სთხოვა, როგორ მოვიქცეო.

ამ გვარად, დედოფალსა და მუხრან-ბატონს შუა თანხმობითი განწყობილება დაირღვა. მუხრან-ბატონს მეგრელები აბრალებდენ, მუხანათები დაგვიძახაო. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, იმას ასეთი დანაშაული ამ მხრის ხალხისათვის არ დაუწამებია. აი, შინაარსი იმ წერილისა, რომელიც თავადმა მთავარმართებელს მიართვა: "თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მეგრელები გულიგულში რუსების მომხრენი არიან და თურქები ეჯავრებათ, მაგრამ ამ მხრის ხალხი ორმოც წელიწადზე მეტია, რაც მშვიდობიანად სცხოვრობს, და წინანდელი მეომრული თვისება თითქმის დაეკარგა. ახლა რაკი ამდენი ჯარი შემოესია მტრისა, შიშისაგან თავ-ტანი დაეკარგა, და, ზოგიერთებს გარდა, არა გვშველიან და მხარში არ გვიდგანან".

გორდიდან არც კი გასულიყო დედოფალი, ზუგდიდის სასახლის მოურავმა თავადმა ნიკო დგებუაძემ შემდეგი წერილი მოართვა ომერ-ფაშასი:

ზუგდიდი, 31 ოქტომბერს (11 ნოემბერს) 1855წ.

"თქვენო უგანათლებულესობავ!

"შემოვალ რა იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენის შვილის სახელით თქვენი უგანათლებულესობა ჰმართავს, ჩემს მოვალეობადა ვრაცხ გავუწყოთ განზრახვანი ჩემის უსაგუსტოესის მბრძანებელის სულთანისა და დიდთა სახელმწიფოთა, მისთა მოკავშირეთა.

"აწინდელი ომი, როგორც თქვენსს უგანათლებულესობას მოეხსენება, დაწყებულია იმ სამართლიანის განძრახვით, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ და ბოლო მოვუდოთ რუსეთის იმპერატორის სურვილს სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობისას.

"აი სწორედ ამ აზრით გახლავართ აქ; თანა მყავს იმდენი ჯარი, რომელიც, შეწევნითა ღვთისათა და იმის წყალობით, რომ საქმე, რომლისათვისაც ვიბრძვით, წმინდაა, სრულად საკმაო იქნება განვდევნოთ მტერი ამ ქვეყნიდან, სადაც თქვენი უგანათლებულესობა მეფობს; მაგრამ, შემოველ სამეგრელოში თუ არა, მონდობილი მაქვს დავარწმუნო თქვენი უგანათლებულესობა, რომ ჩემს უსაგუსტოესს ხელმწიფეს და მის მოკავშირე დიდი სახელმწიფოებს სრულებით არა სურთ შეეხნენ სამეგრელოს მართვა-გამგეობას ან რამე უფლება მოიპოვონ ამ ქვეყანაში.

"ამათ მხოლოდ ისა სურთ, რომ სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები რუსეთისა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელნი იყვნენ და რომ თავიანთი საკუთარნი მთავრობანი თავისუფლად ჰმართავდენ.

"ჩემმა ჯარმა, სამეგრელოში შემოსვლისას, დაინახა, რომ აქაურ მკვიდრთა ერთს ნაწილს ხელში იარაღი აუღია, სხვები გაქცეულან და თავი გაუნებებიათ თავის სახლკარისა და ქონებისათვის, რომელიც, თანახმად საერთაშორისო კანონებისა, ნადავლად უნდა ჩაითვალოს.

"ძალიან მეწყინა, როცა დავინახე, რომ ჯარს სხვა, სამეზობლო ქვეყნების, მკვიდრნი გაჰყვნენ, და მკვიდრთ რბევა დაუწყეს და აგრძნობინეს, თუ რა საშინელებაა ომიანობა.

"მე მწადია, რამდენადაც კი შეიძლება, ტანჯვა შევუმცირო ამ საწყალ ხალხს, ამიტომ ვიღონისძიე, ეს უცხოელნი თავთავიანთს ქვეყნებში გამეგზავნა, ხოლო ჩემი ჯარისკაცები სასტიკად დავსაჯე და ამით დავუშალე მკვიდრთა რბევა-აწიოკება. ერთი ნაწილი მკვიდრთა, რაკი გული დააჯერეს, არაფერი დაგვემართებაო, უკვე დაუბრუნდა თავისს სახლის კერას. მაგრამ ამ კაცთმოყვარულს საქმის დასასრულებლად, ვთხოვ თქვენს უგანათლებულესობას დაბრუნდეს თავის სასახლეში, განაგრძოს თავის ქვეყნის მართვა-გამგეობა, და, ამ გვარად, დაამშვიდოს თვისნი ქვეშევრდომნი და ჩააგონოს, თუ რა სწადია ჩემს ხელმწიფეს; აუხსნას ისაცა, თუ რა აზრით არის აქ მოსული ჯარი: სახელდობრ, უთხრას ისა, რომ ჯარი აქ რუსებს უნდა ებრძოლოს, და აღადგინოს სრული დამოუკიდებლობა სამეგრელოში და დაუბრუნოს ძველებური მართვა-გამგეობა.

"სანამ თქვენი უგანათლებულესობა მობრძანდებოდეს, თქვენს მაგივრად სამეგრელოს მმართველად გამომიცხადებია ბატონიშვილი ნიკო, რომელიც ზუგდიდში გამოგზავნეთ; მაგრამ გთხოვთ, თუ თქვენის შვილისა და თქვენთა ქვეშევრდომთა სიკეთე გსურთ, როგორც კი მოიცალოთ, მობრძანდეთ თქვენს სასახლეში ზუგდიდს, რომ თქვენ თვითონ ჩაიბაროთ სამეგრელოს მართვა-გამგეობა.

დავშთები თქვენის უგანათლებულესობის უაღრესი პატივისმცემელი,

ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი ომერი.

ამ გვარად, როცა, ერთის მხრივ, მუხრან-ბატონი სწერდა დედოფალს, სამეგრელო დასტოვეთო, მეორეს მხრით, ხალხის წარმომადგენელნი სულ სხვას ეუბნებოდნენ დედოფალს, და როცა დედოფალი უკანასკნელთა რჩევას დაჰყვა, გამოჩნდა მესამე პირი, და ეს პირი სამეგრელოში იმ წუთას ყველაზე ძლიერი იყო. ომერ-ფაშას ეგონა, რასაც ვთხოვთ დედოფალს, ყველაფერში მართალი ვარ, ჩემი თხოვნა კანონიერიაო. მაგრამ იმის თხოვნის ასრულება ყოვლად შეუძლებელი იყო.

ყოველსავე შემთხვევაში, დედოფალს კარგად უნდა ეფიქრნა – ამ წერილზე პასუხი უნდა გაეცა, თუ არა. რაკი თვითონ ვერაფერი გადაეწყვიტნა, ეკატერინემ ომერ-ფაშას წერილი ტფილისში თავადს ბებუთოვს გაუგზავნა, ხოლო ამ წერილის პირი ქუთაისში გაუგზავნა თავის ძველს მეგობარს, პოლკოვნიკს ნ.კ. კოლუბიაკინს, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს. ბებუთოვს დარიგებასა სთხოვდა ეკატერინე, ხოლო კოლიუბიაკინს – რჩევას. მეორე დღეს კოლუბიაკინისაგან დედოფალს წერილი მოუვიდა. წერილთან ერთად პოლკოვნიკი უგზავნიდა პასუხის პროექტს და ურჩევდა – ომერ-ფაშას გაუგზავნეო. აი, ის პროექტიცა:

თქვენო აღმატებულესობავ!

"ზრდილობა მავალებს გიპასუხოთ იმ წერილზე, რომლის გამოგზავნა ჩემთან საჭიროდ დაგინახავსთ.

"ვეცდები იმდენად სხარტად და ნათლად გამოვხატო ჩემი აზრი, რამდენადაც ამას გარემოება მოითხოვს.

"თქვენ, გენერალო, სამეგრელოში იმ განზრახვით მობრძანებულხართ, რომ ეს მხარე რუსეთისაგან გაანათავისუფლოთ; მე კი სწორედ მოგახსენოთ, სულ სხვა მსურს, და, ჩემის აზრით, ჩემს ქვეყანასაც სულ სხვა სჭირია.

"გარდა ამისა, სამეგრელოს თუ ვინმე მფარველი არა ჰყავს, ისე თავისთავად არსებობა არ შეუძლია. ამის მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და, უეჭველია, ეს მიზეზები არც თქვენ გამოგეპარებოდათ; რაკი დამოუკიდებელი ვიქნებოდი, აუცილებლად საჭირო გახდებოდა ჩემთვის მფარველობა მეთხოვნა სამ სახელმწიფოთაგანში ერთ-ერთისათვის. ახლა მოგახსენებთ, რისთვის არა მსურს არცერთის მფარველობა.

"ოსმალეთი ფიქრადაც კი ვერ გაიტარებს სხვა დაიფაროს, ამიტომ რომ თვითონ მას სხვა პატრონობს, და, უნდა გამოგიტყდეთ, არც სახარბიელო პატრონი ჰყავს.

"აბა რა ანგარიშია, საფრანგეთსა სთხოვოს კაცმა მიპატრონეო, როცა თვითონ საფრანგეთი შემთხვევითი სახელმწიფოა და, დღეს არა, ხვალ ბოლო მოეღება.

"თქვენ თვითონ არ მირჩევდით, გენერალო, ინგლისისათვის მეთხოვნა მფარველობა, რადგან თავად კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველა ხალხნი, ვისაც კი ინგლისი გამოუჩნდა მზრუნველად: ინდოელნი, ჩინელნი, იონიელნი – ან მონებად იქცნენ, ან დამახინჯდნენ გონებით, ან გაჩენის დღის მაწყევარნი არიან.

"ბოლოს, არც იმას მოგახსენებთ, რომ სამისავე სახელმწიფოს მფარველობა ერთად მინდოდეს, რათა საბუთი არ მოგცეთ დაცინვისა.

"დასასრულ, გენერალო, გთხოვთ მიიღოთ რწმუნება იმ გრძნობითა, რომელნიც თქვენა შეგშვენიან".

მართალია, წერილი მახვილგონიერად, მოკლედ და რიხიანად იყო დაწერილი, მაგრამ დედოფალი მაინც ვერა ჰბედავდა მისს გაგზავნას. ეშინოდა, ვაი თუ გავაბრაზო ომერ-ფაშა, უფროსი მტრის ჯარისაო. ჩემის ქვეყნის ბატონი ამ დროებით მაინც ის არისო; ამ წერილის გაგზავნას სიჩუმე არჩია და მეორე დღეს ბავშვები ლეჩხუმში გაგზავნა. თვითონ კი რამდენისამე დღით გორდში დარჩა, რათა საჭირო განკარგულებანი მოეხდინა ხაზინისა და ძვირფას ნივთეულობის გაგზავნის შესახებ გორდიშივე.

გელოვანი მართალი იყო: ლეჩხუმში ისე შეიძლებოდა თავის დამალვა, რომ არავის შესძლებოდა ნახვა დამალულისა. ეს მთა-ადგილი მეტად ველურისა და მიუდგომელის ხასიათისაა, გზების წილ ვიწრო საცალფეხო ბილიკებია ხრამებისა და ღრანტეების თავზე, ყოველს ნაბიჯზე მთის ნაკადულებია. ეს ნაკადულები გზა-გზა ჩახრიალებად იქცევა; ხიდების მაგივრად ჰაერში დაკიდული ვაზის ბოდბებია; ბოდბებს ქვეშ აქაფებული და გაალმასებული მდინარენი მიაგორებენ თვის ტალღებსა, და გამვლელი, ასეთს ალაგას დაკიდულ ბოდბზე შემდგარი, სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძვის. გორდიდან ორის საათის სიარულის შემდეგ კუთხის მთიდან ცხენის-წყლის ხეობის დაღმართი იწყება: აქ მხოლოდ კლდეში გამოჭრილი ვიწრო ბილიკია, სადაც მხოლოდ თითო კაცს შეუძლიან გავლა და ისიც დიდის გაჭირვებით. ამ ნაირი ბეწვის-ხიდი, სულ უკანასკნელი, სამასის მხარის მანძილზე იქმნება. მაგრამ მთიელთა ცხენები და, განსაკუთრებით, ჯორები ამ საშინელ დაღმართშიაც სძლებენ – თავიანთი მხედარი უვნებლად გაიყვანონ; მხოლოდ ეს არის, ცხენი იქნება, თუ ჯორი, თავის ნებაზე უნდა მიუშვათ, ხოლო თვითონ ლეჩხუმელები, მათთან მისულ მგზავრის გზის მაჩვენებელნი, ყოველს ნაბიჯზე თავიანთის საქონლის მომხმარენი არიან ხოლმე.

მეორე დღეს საღამო ხანზე, მეტად გაჭირვებულის მგზავრობის შემდეგ, დედოფლის შვილები ურში მივიდენ. აქედან გორდამდე ორმოცი ვერსი კიდევ რჩებოდა და, მაშასადამე, ადვილად მიხვდება კაცი, თუ რა ნელა მიდიოდა ქარავანი. მური სწორედ იმ ვიწრო ხეობაშია, რომელშიაც ცხენისწყალი სვანეთიდან გამოდის. მთის კალთაზე ხის სახლია გაშენებული, სადაც მთავარი თავისის ოჯახობით მხოლოდ ზაფხულის თვეებში სცხოვრობს. სახლს წინ კარგა მოზრდილი მინდორი უძევს. ამ მინდვრის თავზე, მაღალ კლდეზე, ძველებური კოშკი დგას, რომელშიაც ოთხი-ხუთი ზარბაზანი და საკმაო რიცხვი ზამბულაკებისა აწყვია. საკვირველი ის არის, რომ სხვა ზარბაზნებს შორის აქ ერთი ყველაზე დიდი ზარბაზანია შვედური; საქმე ის არის, აქ საიდან გაჩნდა ეს ზარბაზანი? ცხენისწყალზე ქვიტკირის მკვიდრი ხიდია, რადგან ამ ადგილას ეს მდინარე განიერი არ არის. მდინარის მეორე მხარეს, მეოთხედი ვერსისს მანძილზე, მონასტერია ცაგერისა. ეს მონასტერი ღარიბულია, ერთი ქვიტკირის ეკლესია სდგას და ეკლესიასთან ორი-სამი სახლია აგებული ხისა, სადაც წინამძღვარი და სამი ბერი სცხოვრობენ.

აი, ლეჩხუმის ამ კუთხეში გაიხიზნენ დედოფალი და მისი შვილები. ბავშვები ცაგერის მონასტერში წაიყვანეს და წინამძღვრის სადგომის ორს ოთახში დააბინავეს, რადგან ეს ოთახები უფრო მოწყობილი იყო საზამთრო საცხოვრებლად; თუმცა სარკმელებში შუშის მაგივრად ქაღალდი იყო გაკრული; ხოლო დედოფლისათვის მურის ფიცრულს სახლს ამზადებდენ. მართალია, მური მეტად მიყრუებულ ადგილას იყო, აქ მცხოვრებს ბევრი რამ ნაკლებულება უნდა გამოეცადნა, მაგრამ დარი საუცხოო იდგა და ეს გარემოება ადამიანს ყველაფერს ავიწყებინებდა. გარდა ამისა, სანუგეშო ისიც იყო, რომ მურიდან რაჭაზე, თუმცა დიდის გაჭირვებით, მაინც შეიძლებოდა ქუთაისში ჩასვლა, ხოლო რამდენისამე საათის სავალზე ებრაელების დაბა ლაილაში იყო, სააიდანაც ზოგი რამ საჭირო საქონლისა და სურსათის მოტანა შეიძლებოდა.

ერთს კვირას უკან მურში თვით დედოფალიც მობრძანდა. წინა დღეების ფაცა-ფუცისაგან დაღლილს იმედი ჰქონდა, რომ ამ შორეულ კუთხეში მაინც არავინ შემაწუხებსო, მაგრამ სცდებოდა, – დედოფალი არ ავიწყდებოდა ოსმალების მთავარ-სარდალს, და სამმა დღემ რომ გაიარა აქ დაბინავების შემდეგ, ომერ ფაშისაგან შემდეგი წერილი მიიღო:

"მთავარი ბანაკი, 9 (21) ნოემბერს 1855წ.

თქვენო უგანათლებულესობავ!

"მე პატივი მქონდა მეახლებინა თქვენის უგანათლებულისათვის წერილი, 30 ოქტომბრის (11 ნოემბრის) თარიღით დაწერილი, რათა მეუწყებინა თქვენთვის განზრახვანი ჩემის უსაგუსტოესის ხელმწიფის სულთანისა და მის მიკავშირე დიდთა სახელმწიფოთა, რომელთაც ჩემის წინამძღვრობით ჯარი გამოგზავნეს სამეგრელოს პროვინციაში.

"იმ წერილში მე ვარწმუნებდი თქვენს უგანათლებულესობას, რომ ჩემს ხემწიფეს და მისთა დიდთა მოკავშირეთა არავითარი პატივმოყვარული აზრი არა აქვთ, მხოლოდ სურთ სამეგრელო და მისი სამეზობლო პროვინციები რუსეთის და აგრეთვე სხვა სახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ და თავიანთი საკუთარი მართვა-გამგეობა ჰქონდესთ-მეთქი.

"ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ ისევ გაგიმეოროთ ჩემი ნათქვამი და იმავე დროს ხელახლა მოგიწვიოთ თქვენი უგანათლებულესობა თქვენის მემკვიდრე შვილითურთ ზუგდიდში. რათა აქ განაგრძოთ მართვა-გამგეობა თქვენის ქვეყნისა თქვენის შვილის სახელით.

"რაკი ჩემს, 30 ოქტომბერს მოწერილ წერილზე პასუხი არავითარი მაქვს თქვენის უგანათლებულებისაგან, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაუწყო თქვენს უგანათლებულესობას, თუ რა შედეგი მოჰყვება თქვენს დაგვიანებას და დაუბრუნებლობას თქვენის სამთავროს დედა-ქალაქში.

"სამეგრელოს მკვიდრნი თანდათან მშვიდდებიან, მაგრამ აკლიათ მოთავე, რომელმაც ამ დროს, როცა მხარე ჩემს ჯარს აქვს დაპყრობილი, ჰმართოს იგი და თავის რჩევა-დარიგებით უწინამძღვროს იმ ამბების დროს, მის გარშემო რომ ხდება.

"თუ თქვენი უგანათლებულესობა არ დაბრუნდება და ისევ არ ჩაიბარებს იმ ადგილს, რომელიც თქვენ გეჭირათ, როგორც სამეგრელოს მმართველს, თქვენის შვილის სახელით, თქვენის აქ არყოფნით უფრო გაუმწვავებთ ყოფნას თქვენთა ქვეშევრდომთა: ამით თქვენ დაიწყებთ თქვენის შვილის ინტერესებს და საუკუნოდ დაჰკარგავთ თქვენა და თქვენი შვილი რაიმე უფლება გქონდეთ სამეგრელოს შესახებ, მაშინ ჩემი უსაგუსტოესი ხელმწიფე სულტანი და მისნი მოკავშირენი იძულებულნი გახდებიან, რაიცა მათ სრულიად არა სურთ, სამეგრელოში დააწესონ მკიდრი და თან არავისაგან დამოუკიდებელი მთავრობა, რომელსაც ამ მხარის და ხალხის ინტერესები უფრო აწუხებდეს იქნება.

მიიღეთ რწმუნება ჩემის უუდიდესის პატივისცემისა.

მთავარ-სარდალი ოსმალეთის სახელმწიფო მხედრობისა

ომერი".

გაგრძელება

შემდეგ ნომერში

ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲡ, ᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲠᲣᲡᲗᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ!

(ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ")



***1904** წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბენკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.*

ძველ საბერძნეთში სახელმწიფო ხელოვნურად ავითარებდა იმ თვისებებს, რაც ჩვენ კავკასიაში მივიღეთ მუქთად, რომელსაც ჩვენ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დაუმორჩილებელი ხალხებისა და რუსული სახელმწიფოებრივი საქმის საზიანოდ ვაწვრილმანებთ და ვალპობთ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ნიშანდობლივი მოვლენის თაობაზე. ქართველებს უყვართ საკუთარ სამშობლოში სამსახური და მეტად მწვავედ განიცდიან, როცა უმაღლესი სასწავლებლის კურსის დამთავრების შემდეგ ამას ვერ ახერხებენ: ისინი ამაში "გარუსების პოლიტიკას" ხედავენ, რომელიც აქ არაფერ შუაშია. არც ერთი პოლტაველი ან ტამბოველი არ მოისურვებს გამოუყონ სამუშაო ადგილი მხოლოდ იქ, სადაც იგი ქვეყანას მოევლინა. ჩვენს დროში, როცა ხდება დიპლომირებული ინტელიგენციის გადამზადება მათი ცხოვრებისათვის მისასადაგებლად, ნებისმიერი მათგანი ბედნიერი იქნებოდა, თუ საერთოდ იშოვნიდა სამსახურს. ქართველს კი სურს, რომ უეჭველად საქართველოში "მოეწყოს" სამსახურში, ამასთან, სწორედ საქართველოში გაუჭირდება მას რაიმე სარგებლის მოტანა, საკუთარი ხალხისათვის დახმარება, სამსახურში დაწინაურება, რადგან ადგილობრივი ყოფის მრავალი პირობა ყოველივე სასარგებლოს დიდად უშლის ხელს. სამშობლოში ჯერ კიდევ დომინირებს ***მტკივნეული გარდამავალი მდგომარეობა***, ძველი ზნეობა და ადათი კვდება, სწორედ რომ ***კვდება და წვრილმანდება***. ძალაში რჩებიან მხოლოდ დესპოტური წვრილმანები და ფორმები, რომლებიც ძირითადად თანამედროვე ცხოვრების უარყოფით ასპექტებს ესისხლხორცებიან. თითქმის ყველგან შეიძლება წააწყდეთ ქართველ "ინტელიგენტს", რომლის შეგნებასა და გრძნობებში არეულ-დარეულია საგვარეულო გენები და უკიდურესი "ლიბერალიზმის" შაბლონური ფორმულებით დახუნძლული ფეოდალური ამბიცია. ამგვარი შინაგანი წინააღმდეგობების დაწოლის შედეგად შემოქმედება შეიძლება აღმოცენდეს და გაიზარდოს გაგებათა და განწყობათა ცვლის მერყევ ნიადაგზე. ქართველი იურისტი აწყდება ჯერ კიდევ აღმოუფხვრელ საგვარეულო საწყისებს, სახელმწიფო მიწების ინტერესთა მცველი გრძნობს ორგანულ, სტიქიურ უპატივცემულობას მის მიმართ, გლეხთა კეთილდღეობის ამაგდარს მოსვენებას არ აძლევს ჯიუტი ფეოდალური ინსტინქტების გადმონაშთი, მწერალი გვერდს ვერ უვლის ტომობრივი გათიშულობის იჭვნეულ მოთხოვნებს. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა საერთო-სახელმწიფოებრივი და ადამიანური ინტერესებისადმი და შეხედულებებისადმი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია და აზრს ჰკარგავს პრინციპულად დამკვიდრებული პროგრესული შემოქმედება. თუ ამას დავუმატებთ იმ ადამიანების შურისმაძიებლურ ბუნებას, რომლებიც საკუთარ თავს განაწყენებულებად მიიჩნევენ და იმ მომაბეზრებელ ხალხს, რომლებიც რაღაცეებს აღწევენ კანონების გვერდის ავლის გზით, იოლი წარმოსადგენია, თუ რა მძიმე ხვედრი ერგო წილად ნებისმიერ კავკასიელ მოღვაწე-ქართველს, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ ობივატელურ ნათესაობასთან, მეზობლობასთან, კეთილგანწყობასა თუ მტრობასთან. დასმენები, გადაკიდება, მუქარები – სრული ჯოჯოხეთია. თუ სფერო, სადაც იგი საქმიანობს, არ არის დაკავშირებული მისი თანამემამულეების სასიცოცხლო ინტერესებთან, მას მაინც ***არ აძლევენ*** მოსვენებას და სისტემატური საქმიანობის საშუალებას, იმიტომ, რომ მაგიდასთან სამუშაო დრო არასოდეს ჰყოფნის – ხან სტუმრებს უნდა გაუმართოს წვეულება ღვინითა და სიმღერებით, ხან თვითონაც უნდა ეწვიოს სტუმრად სხვათა მიერ გაშლილ ლხინის სუფრას. იქმნება გულისამაჩუყებელი კლიმატი რომელიც თითქოს მოწოდებულია სერიოზული საქმისაგან გულის ასაყრელად.

საინტერესოა, რომ ქართველები ამა თუ იმ დარგის ტალანტურ მოღვაწეებად იქცევიან ხოლმე საქართველოს ფარგლებს გარეთ. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ერთზე შევჩერდები, თავიდან ბოლომდე ყველაზე ნათელსა და ჭკუის სასწავლებელზე. ერთმა თავადმა, რომელიც ქეიფსა და დროსტარებას იყო გადაყოლილი, ტყუილ-უბრალოდ იმსხვერპლა ვიღაც ობივატელი, რომელიც შემთხვევით შევიდა ადგილობრივ რესტორანში და საკუთარ თავზე დაიტეხა იმ "რაინდის" რისხვა. დამნაშავე თავადი ჯერ ციმბირში გადაასახლეს, შემდეგ კი ევროპული რუსეთის ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიაში. გადასახლების ორივე ადგილზე მან თავისი შრომისმოყვარეობითა და სასარგებლო მოღვაწეობის წყალობით საერთო თანაგრძნობა და პატივისცემა მოიპოვა. მაგალითად, სამხრეთ რუსეთში მან მოსახლეობას შეასწავლა მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა და გუბერნატორის მრჩეველი გახდა საერთო-სახალხო კეთილდღეობის ამაღლების საკითხებში. მოულოდნელ;ად კავკასიიდან მოვიდა წერილი, რომ გადასახლებული თავადის დედა უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. მას სამშობლოში ჩასვლის ნება დართეს. გზად მან ვლადიკავკაზში შეიარა და ცნობილი მეომარი, გენერალი ნ.ზ.ჭავჭავაძე მოინახულა, რათა მისთვის გადასახლებიდან განთავისუფლების შუამდგომლობა გამოეთხოვა. თავად ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძეს მიღებული ე.წ. "ჩაფრის აღზრდა", ე.ი. არავითარი დიპლომი მას არ გააჩნდა, მაგრამ იყო დამოუკიდებელი განათლების მქონე და არაჩვეულებრივად ჭკვიანი ადამიანი. მან თანაგრძნობით შეხედა მთხოვნელს და უთხრა: "მაინც რა გეჩქარება, შე სულელო, საქართველოში. იქნებ გამოგეყენებინა უცხო მხარეში ის ბედნიერი შესაძლებლობა, რომ მშვიდად შეგიძლია იშრომო, საქმეც ისწავლო და ჭკუაც. სამშობლოში რომ ჩახვალ, ისევ ძველებურად მიეცემი უდარდელობასა და ლხენას, და არც ის არის გამორიცხული, რომ კვლავ დანაშაულის გზას დაადგე. ყოველ შემთხვევაში, იქ შენ სასარგებლო ადამიანად ვერ იქცევი". მაგრამ, სამშობლოს მონატრებული გადასახლებული თავისას არ იშლიდა, ემუდარებოდა გენერალს, და ამ უკანასკნელმაც დაუთმო – თავადს სრული პატიების სიგელი მისცა. პატიებამიღებულმა თავადმა სამშობლოში მშვენიერი ადგილი დაიკავა სახელმწიფო სამსახურში, რომელიც მალევე დაჰკარგა თავისივე მიზეზით და შეუდგა მემკვიდრეობით მიღებული მცირე მიწის ნაკვეთის დამუშავებას. შემდეგ დაიწყო უთავბოლო ღრეობები და, ბოლოს, ერთ-ერთმა თანამეინახემ ხანჯალი გაუყარა მუცელში. თავადი გადარჩა, მაგრამ იგი საბოლოოდ გამოემშვიდობა ისიმ შესაძლებლობას, რომ ოდესმე გახდებოდა "სასარგებლო ადამიანი"...

ქართული საზოგადოების, განსაკუთრებით მაღალი კლასის ცხოვრება მკვეთრად იცვლება გაუარესებისაკენ, წყობა იხრწნება სწორედ ხალხის ისტორიულად გამომუშავებული ხასიათისა და ახალი სოციალურ-ეკონომიკური პირობების საბედისწერო შეუსაბამობათა გამო, რომ არაფერი ვთქვათ კანონთა შეუსაბამობაზე. ***ტრადიციული ზნეობისა და ადათ-წესების დაკარგვამ*** არ შეიძლება არ გამოიწვიოს ხრწნა. ცხოვრების წესების შეცვლა უცებ არ ხდება. ვერ პოულობს რა საკუთარი სიამოვნების ადრინდელ ფორმებს, ძლიერი ნერვიული აღტკინების სპორტულობა და ორგანული წყურვილი გადადის არა მხოლოდ ჩვეულებრივ დანაშაულში, არამედ ანარქიული უტოპიისადმი ლტოლვაში. სულიერად ფრიად ლოიალური და, საერთოდ, ძალზე სიმპატიური ქართველი ახალგაზრდობა იოლად შეიძლება დაიჟოლიონ მეამბოხეებმა რაიმე გამოხდომებისათვის, აქედან გამომდინარე სამწუხარო შედეგებით: ზოგჯერ საკმარისია მათ შთავაგონოთ, რომ ესა თუ ის ავანტიურა დიდების მომტანია, რომ ქართველები უნდა იყვნენ "მოწინავე ხალხი" და ა.შ. ხალხთა მასები, განსაკუთრებით ლიხსიქითა საქართველოს წარმომადგენლები, როგორებიც არიან იმერლები, მეგრელები, გურულები, განსაკუთრებიოთ მგრძნობიარენი არიან ანარქისტული შეგულიანების მიმართ. გურიაში (ოზურგეთის მაზრა) უკვე დიდი ხანია რაც აგრარულმა ურთიერთობებმა მიიღეს მეტად მწვავე ხასიათი, ერთის მხრივ, საერთო დანაშაულების ზრდა, მეორეს მხრივ, სოციალისტური ბოდვები, მესამეს მხრივ კი, უძველესი მტაცებლური ინსტინქტები და მცნებები – ყველაფერი საკმაოდ ფეთქებადსაშიშ მდგომარეობას აყალიბებს დასავლეთ საქართველოში, რომელსაც იტალიას ადარებენ თავისი კარბონარიებით, კორსიკას სისხლიანი ანარქიითა და ველური კოლორიტით.

პროსპერ მერიმეს მცირეტანიანი წიგნი "კოლომბო", რომელიც კორსიკელთა ზნე-ჩვეულებებს გვამცნობს, განგვაწყობს საიმისოდ, რომ გონებით ლიხსიქითა საქართველოში გადავინაცვლოთ. სხვათა შორის, ქართველებისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი თვისება – მოსახლეობის ყველა ფენის არაჩვეულებრივი თეატრალურობა. ქართველები, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველები, თვითნაბადი მსახიობები, პოეტები, მხატვრები არიან. მათში მეტყველებს ძლიერი, ლამაზი, მკვეთრი ბუნება, რომელიც აისახება მათ სუკიერ წყობასა და თავგადასავლებით აღსავსე ისტორიაზე: წინაპართა თავგადასავლები და მიდრეკილებები მომავალი თაობისათვის სათამაშო ფანტაზიად იქცევა ხოლმე და ორგანული მხატვრულობის სტიმული გახლავთ. როცა ყოველივე ეს მასიური მოვლენის მნიშვნელობას და ზომებს იღებს, ეს ნიშნავს, რომ მთელი ხალხის ნერვები მუდმივად დაწყვეტამდე დაძაბულია, აღთქმითი პროცესები მტკივნეული ხდება...

ყოველივე ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოდგეს შემდეგი ფაქტი. 1895 წელს, ქუთაისში, ებრაელთა მრავალრიცხოვანმა ბრბომ მხეცურად მოკლა ვიღაც ლუკა კოსტავა. მოკლულის დედა ქვრივი მკერდდაკორტნილები, გაშლილი თმებითა და მოთქმით ჩამოვიდნენ ქუთაისში. მხოლოდ მათზე ერთხელ შეხედვა იყო საკმარისი, რომ მოსახლეობას ნაცარ-ტუტად ექცია ებრაელების უბანი. მთელმა ადგილობრივმა ინტელიგენციამ დამრბევთა მხარე დაიჭირა, დაიწყო მითქმა-მოთქმა ებრაელი ბობოლების მევახშურ ბატონობაზე ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, წინასწარგანზრახულ დანაშაულებრივ კავშირზე, რომელიც დამყარდა უმდიდრეს ებრაელ ციციაშვილსა და ერთ-ერთ ადგილობრივ ადმინისტრატორს შორის (რომელიც მალევე გაუშვეს თადარიგში) და ა.შ. ანტისემიტიზმმა ლამის საყოველთაო სახე მიიღო. გავიდა რამდენიმე წელი. პეტერბურგელმა ებრაელებმა და მათმა მხარდამჭერებმა მცირე თეატრში დადგმული სპექტაკლის "კონტრაბანდისტების" გამო მოაწყვეს ცნობილი სკანდალი და მალე იგივე განმეორდა ქუთაისის საქალაქო თეატრში, სადაც ანტისემიტები ებრაელთა საძრახისი ინსტინქტების თავგამოდებულ დამცველებად მოგვევლინენ. ორივე შემთხვევაში მთავარ როლს თამაშობდა ნერვული აღქმა და ***თეატრალობა***, ფრონდირებისადმი გადახრის უნარით...

თუ ჩავუღრმავდებით წმინდა ფსიქოლოგიურ სფეროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მშვიდობამ და ცხოვრების ახალმა პირობებმა უკიდურესად დამღუპველი ასახვა ჰპოვეს ***ქართულ ეკლესიაზე***. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში რელიგია გაჯერებული იყო წამებულთა სისხლით და ამდენად, რწმენა გმირობად ითვლებოდა. ქართული ავტოკეფალური ეკლესია, მიუხედავად ღვთისმსახურებაში არსებული ზოგიერთი დაუმუშავებელი ასპექტისა და მის სათავეში ფეოდალი ეპისკოპოსის ყოფნისა, თვითშეგნებით გახლდათ გაცისკროვნებული. მშვიდობის დადგომის შემდეგ ***რწმენამ დაკარგა ქრისტიანული არსისათვის ესოდენ დამახასიათებელი ტრაგიკული ხასიათი*** და ამიტომაც ***გაღარიბდა***. ჯანსაღი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ავტოკეფალური ეკლესია გაუქმდა და მისი ვეებერთელა სამიწათმოქმედო მეურნეობები ხაზინას შეუერთდა. დავუშვათ, რომ ეს უკანასკნელი ღონისძიება გატარდა თვით ქართული სამღვდელოების შუამდგომლობით, რომელიც გრძნობდა, რომ ამ ვეებერთელა მეურნეობის გაძღოლას ვეღარ ახერხებდა. ეს არ იქნებოდა დიდი უბედურება ფრთებშეკვეცილი ქართული ეკლესიის მეზობლად, ეჩმიაძინში, აღმართული რომ არ იყოს ***სომხური თეოკრატიის*** უზარმაზარი შენობა, რომელსაც გააჩნია ვრცელი ფართობები და ბევრი ფული (ამ ეკლესიის ქონებაც ახლახან გადაეცა ხაზინას), გააჩნია პოლიტიკურად ორგანიზებული ძალა და ხშირად ***დაუფარავად იბრძვის რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ***. სეპარატისტული განწყობის შემქმნელი ამგვარი სურათის მხილველ ქართველებს, სომხურ ეკლესიაში ჩატარებული ქონებრივი რეფორმის მიუხედავად, ***სრული უფლება აქვთ განაცხადონ,*** რომ კავკასიაში უფრო ***ხელსაყრელია იყო ურწმუნო***.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნუ გამრავლდებითო...

გაზეთ "ილორის" ამ ნომერში, რომელიც სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" იუბილეს მიეძღვნა, გვინდოდა მხოლოდ სახალისო მასალები დაგვებეჭდა. მაგრამ, სახალისო ამბები ხომ მხოლოდ იქ ხდება, სადაც, ხელისუფლების ზრუნვის წყალობით, ხალხი ხალისიანად ცხოვრობს. საქართველოში კი, სადაც კლების ნაცვლად დროდადრო მატულობს მშობლიური კერებდან აყრილთა და გადმოდენილთა რიცხვი, სახალისო ამბავს ძნელად თუ მოიძიებს ადამიანი. ამიტომ, გაზეთის ამ გვერდს სპეციალურად ვუძღვნით რეპორტაჟებს დევნილთა სამყოფელიდან

დილაადრიან დამირეკა მეგობარმა – თუ გცალია ბაგებში და წყნეთში ავიდეთო, დევნილებს შევხვდეთო. მე რასაკვირველია დავთანმხდი. ზამთრის მზიანი დღე იდგა. შეხვედრის დროც და ადგილიც დავთქვით. რუსთაველის მეტროსთან, რუსთაველის ძეგლთან ზუსტად 11 საათსა და 45 წუთზე ვიყავი. მეგობარი უკვე იქ იყო. მწერალ გურამ ოდიშარიასაც გავუარეთ და ჩვენ სამნი ავედით ბაგებში, სტუდქალაქის დასახლებაში. შენობებში უკვე 15 წელზე მეტია აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ. კარგი, მზიანი ამინდი იყო და ძალიან ბევრი დევნილი ეზოში იმყოფებოდა. როგორც გაირკვა, ისინი მთავრობის წარმომადგენლებს უცდიდნენ, რომლებმაც მათ შეხვედრა დაუთქვეს 12 საათისა და 30 წუთისთვის, ამ დროს კი ჩვენ მოვედით. პირველად მათ ეგონათ, რომ ჩვენ მთავრობის წარმომადგენლები ვიყავით და საკმაოდ ამრეზილები შეგვხვდნენ, მაგრამ თავი გავაცანით და ვუთხარით, რომ ხელისუფლებასთან არავითარი კავშირი არ გვქონდა. უბრალოდ, ავუხსენით, რომ გვაინტერესებს მათი ცხოვრების პირობები და შესაძლებლობის ფარგლებში მათი დახმარება გვინდოდა. ძალიან ბევრი ჩვენი ნაცნობიც აღმოჩნდა, მათ შორის იყო იზოლდა ქვარაიაც, რომელსაც აფხაზეთში ომის პერიოდში მეუღლე დაუხვრიტეს, ხოლო თბილისში დევნილობისას კუს ტბაზე 15 წლის ბიჭი დაეხრჩო. მე მისი მეუღლის გასვენებაზე, აფხაზეთში გულრიფშის რაიონში, სოფელ ქვემო ფშაფში ვიყავი, თბილისში კი მისი შვილი სტუდქალაქიდან გავასვენეთ. საშინელებაა! და რამდენი ასეთი გაუბედურებული ადამიანი ცხოვრობს. ცხოვრება აერიათ, სახლკარი დაკარგეს და რაც კი ებადათ ყველაფერი დაატოვებინეს. რამდენს დაუსაფლავებელი და გაუპატიოსნებელი მკვდარი დარჩა აფხაზეთში?! ნათესავები დაიფანტნენ: ზოგი საქართველოშია, ზოგი უკრაინაში, ზოგიც რუსეთში და ზოგი ამერიკაში და ა.შ. ზოგი კი დღესაც აფხაზეთშია, ვერ შეელიენ მშობლიურ ადგილს. აი, ახლა აქ ვდგევარ ჩემს ხალხთან, აფხაზეთიდან დევნილებთან ჩემი მამიდაშვილი შალვა თოდუა კი სოფელ ქვემო ფშაფში მკვდარი ასვენია. სამშაბათს. აფხაზი მეზობლები და დარჩენილი ქართველები თავს დაგვტრიალებენო – დაგვირეკა შალვას მეუღლემ, ნანულიმ. ჩვენ ვერავინ ვერ წავედით, მხოლოდ შალვას მეუღლე წავიდა ძმის დასაფლავებაზე. ღმერთო, რა დავაშავეთ, რომ ჩვენ, ნათესავები ვერ მივდივართ ახლო ნათესავის გასვენებაზე?!

მე კი ბაგებში, სტუდქალაქში ვდგავარ ჩემს მეგობრებთან ერთად და ვისმენთ დევნილების გაჭირვებული ცხოვრების ამბებს. ხშირად შუქი არ აქვთ, წყალი მე-5 სართულამდეა და ისიც ყოველთვის არა, ზედა სართულების მაცხოვრებლებს წყალი ლიფტით ააქვთ, ხოლო ლიფტს 10 თეთრი სჭირდება. ოთახები ძალიან პატარაა, ერთ ოთახში 5-6 კაცი ცხოვრობს. ზედა სართულზე ავედი, აქაური ბინადრები გვიჩვენებენ თავიანთ საცხოვრებელ ოთახებს. მიკვირს როგორ ახერხებენ ეს ადამიანები, ასე სუფთად და მყუდროდ იყვნენ ასეთ პატარა ოთახებში. შენობა გაბზარულია, ალბათ საშიშიც არის აქ ცხოვრება, მაგრამ სხვა რა გზა აქვთ? ერთი დევნილი გვეუბნება: **„ქალიშვილი და ორი ბიჭი ყავს, ბიჭები დიდები არიან 25 და 27 წლისანი, დროა დაოჯახდნენ, მაგრამ სად, სად მოიყვანონ, სად დავწვეთ?"** ზოგ დევნილს მოხუცი დედ-მამა ყავს, რიგ-რიგობითაც ვწევართ ლოგინშიო განაცხადა ერთმა დევნილმა, მეორე ქალბატონმა გვითხრა, რომ დედაჩემმა ვერ აიტანა ასეთი მძიმე ცხოვრება და მე-7 სართულიდან გადაეშვაო, თვალები ცრემლებით აევსო. ხოლო ერთმა დევნილმა შემოგვჩივლა გაუგონარი რამ: ხელისუფლების წარმომადგენელი მოვიდა ჩვენთან და განგვიცხადა, შვილებს ნუღარ გააჩენთ, თორემ შემდეგ აფხაზეთის მთავრობის სარჩენი იქნებაო.

წარმოვიდგინე ყველაფერი ეს და გული შემეკუმშა. მეტ თავხედობას ხომ მართლაც ვერსად მოისმენ!

ზოგს უნდა, რომ ოთახი დაუკანონონ, ესენი არიან ისინი ვინც ოჯახში ერთი ან ორნი არიან, ხოლო იმათ, ვისაც სამი შვილი ყავთ და ოჯახში 4-6 კაცია, გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან. ეს ჰიგიენურადაც მიუღებელია სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ერთი ახალგაზრდა კაცი დაახლოებით 40 წლამდე, ომის მონაწილე, სახეზაიარევი გვიყვება, რომ კანონიც არსებობს პრეზიდენტის ხელმოწერით, რომ ერთ კაცს სანიტარული ნორმით ჩვიდმეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი ეკუთვნის, მაგრამ ამას არავინ ითვალისწინებს.

ქვევით, ეზოში ჩავედით. ხალხი იმედის თვალით შემოგვყურებს, გვითხრეს, რომ მთავრობიდან მათთან არავინ არ დადის და ისინი ახსენდებათ მხოლოდ არჩევნების წინ. მრავალი დაპირებები, რომლებსაც უხვად არიგებენ და... ამით მთავრდება ყველაფერი, მერე მორიგ არჩევნებამდე არავინ მოდის მათთან. აფხაზეთის მთავრობამ და ხელისუფლებამაც დაგვივიწყაო, ალბათ არაფერი არ შეუძლიათ, იმიტომ არ მოდიანო – თქვა ერთმა დევნილმა კაცმა. ამ სიტყვებმა დიდი ხმაური გამოიწვია. ერთმანეთს საყვედურობდნენ, რომ ზოგი დევნილი 10 და 20 ლარზე იყიდება. არჩევნების **„აგიტატორებს"** კი თურმე 200-200 ლარსაც ურიგებენ. განწყობა

ტონ დევის სიტუაცია ავუხსენი, ყველაფერი ვუამბე, თანაც იმ დროს ფეხი ძალიან ცუდ მდგომარეობაში მქონდა, მან კი სიცილი დაიწყო.

კარგახანს იცინოდა, ეს რა მოგინდომებია, სუბელიანს შენ ვინ განახებსო, მითხრა და პირდაპირი მნიშვნელობით, გამომაგდო. მეც ხომ ადამიანი ვარ, ამ დაცინვითა და მოტყუებით დავიღალე და იმედიც გადამწურა, ამიტომ, აღარსად წავსულვარ. შემდეგ, აფხაზეთიდან დევნილ ნათესავთან ვცხოვრობდი, მაგრამ დიდხანს ვერც ისინი შევაწუხე, თან ვერაფერს ვაკეთებდი და აქეთ მოსავლელი ვიყავი. ბოლოს, სიმონ ჩაჩავას, სამინისტროს შანამშრომელს, რომელიც **"ზაკვოზეა"** მიმაგრებული, ვთხოვე, ჩემთვის ერთი ოთახი გამოეყო, მითხრა, რომ ამის უფლება არ მქონდა, რადგან არ შემეძლო დამემტკიცებინა, მართლა ომის შედეგად დაზარალებული ვიყავი თუ არა. არადა, შემიძლია იმიტომ, რომ არქივები არსებობს.

მერე ვუთხარი, რომ მისთვის პრობლემების შექმნა, ჟურნალისტებისათვის ყველაფრის მოყოლა შემეძლო და მხოლოდ ამის შემდეგ მითხრა, ერთ ოთახში შეგიშვებ დროებითო. 28 ლარსაც, ერთ სულ ლტოლვილისთვის განკუთვნილ დახმარებას ვიღებ თვეში, რომლითაც უნდა ვჭამო, ვიმკურნალო, ვიარსებო. არ ვიცი, აქედან როდის გამომაგდებენ. ერთადერთი რაც მინდა, თავშესაფარია, საიდანაც ვერავინ გამაგდებს, ან ფულადი დახმარება, რომ დამოუკიდებლად არსებობა შევძლო.

ხელისუფლების მიმართ ძალიან ცუდია. ლიდერი არ გვყავს-თორემ მთელი ხალხი ფეხზე დადგებაო. ლიდერის პრობლემა ნამდვილად არსებობს საქართველოში. კიდევ დიდხანს ვუსმენთ ჩვენს დევნილებს. ბატონი გურამ ოდიშარია, რომელიც უდავოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და პოპულარული პიროვნებაა, როგორც მწერალი და როგორც მიუკერძოებული ადამიანი, ადვილად ამყარებს კონტაქტს ხალხთან და ვგრძნობ, რომ მისი სჯერათ. დავემშვიდობეთ სტუდქალაქში მცხოვრებ დევნილებს, მანქანაში ვსხდებით და მივდივართ წყნეთში, უფრო სწორად ზემო წყნეთის ერთ-ერთ დასახლებაში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ლტოლვილები.

ცნობილია, რომ მსოფლიო საზოგადოებამ, დონორმა ქვეყნებმა, ევროკავშირმა მილიარდები გამოყვეს დევნილების დასახმარებლად არა მარტო ცხინვალის რეგიონის, არამედ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვისაც. მაგრამ, არავინ იცის ვის ჯიბეში ილექება ეს ფული. ლტოლვილის საარსებო თანხის მითვისება კი არა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულია, არამედ შეუწყნარებელი ცოდვაა თვით ღმერთის წინაშეც კი.

სამწუხაროდ ზოგიერთმა პიროვნებამ, პარლამენტის დეპუტატად არჩევის შემდეგ დაივიწყა ხალხიც და დაპირებებიც. ისინი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესებით არიან უფრო დაკავებულნი. ეს უკვე, ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი მძიმე დანაშაულია!

არავითარი თანამდებობა, არავითარი პირადი კეთილდღეობა, მხოლოდ ხალხის სამსახური! – ასეთი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების პოზიცია!

გოგი ფაცაცია

15 წელი გალში ცხოვრობდი, აქ არაფერი გესაქმება.

როგორ გადმოიპარა თბილისში და როგორ მოექცა საკუთარი ხელისუფლება გალში, ნაღმზე აფეთქებულ მარიკა შენგელიას

"ცოცხალი რატომ გადარჩი", "მეგრელი ხარ, ამიტომ ვერაფერს მიიღებ", "15 წელი გალში ცხოვრობდი, აქ არაფერი გესაქმება"... სამი თვეა, 6 აგვისტოს, გალში, ნაღმზე აფეთქებული 23 წლის მარიკა შენგელიას საქართველოს საკანონმდებლო ორგანოდან, საჯარო რეესტრიდან, ქალაქის მერიიდან და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან ხან ზრდილობიანად ისტუმრებენ, ხან მოტყუებით, ხანაც პირდაპირი მნიშვნელობით აგდებენ. ადამიანი, რომელმაც ხელის, ფეხისა და ზურგის მძიმე დაზიანებებით მდინარე გადმოლახა და გალის საავადმყოფოდან, ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საკუთარი ხელისუფლების მხრადაჭერის იმედად გადმოიპარა, მთელი ეს დრო თავშესაფრის გარეშე იყო და "ზაკვოს" გაპარტახებულ შენობაში, რამდენიმეკვირიანი ბრძოლით, ღამის გათევის უფლებაც ახლახან მოიპოვა, ისიც დროებით. მარიკა აფეთქების დღესა და ექვსი აგვისტოს შემდეგ განვითარებულ მოვლენებს იხსენებს:

– აფეთქება 6 აგვისტოს, აფხაზეთში, პარკში მოხდა, დედაჩემი, ჩემი ძმა, ბიძაშვილი, მეზობელი, მოკლედ, პარკში ყველა ერთად ვიყავით. აფეთქების გამო, იქ ბევრი აფხაზი დაიღუპა, ადგილზევე დაიღუპა 22 წლის მეგრელი გოგოც, ჩვენ კი გადავრჩით. აფხაზებმა პირველი დახმარება გაგვიწიეს...

– აფეთქებისას, სხეულის რა დაზიანება მიიღეთ?

– ხელში მომხვდა ნაღმის ნამსხვრევი, ფეხშიც, ზურგზეც მივიღე დაზიანება და ნაკერები ისევ მადევს. პირველი დახმარება გალში უფასოდ გაგვიწიეს, ფეხის ოპერაციაც უფასოდ გამიკეთეს. სააკაშვილი ამბობდა, აქეთ გადმოდით და ყველაფერს უფასოდ გაგიკეთებთო, მაგრამ აფხაზეთის **"პრეზიდენტმა"** ბრძანება გასცა, საქართველოში არავინ გადაუშვათ და ყველაფერი უფასოდ გაუკეთეთო, ამიტომაც იქ დარჩენა მოგვიხდა, თუმცა, ეს ჩვენი არჩევანი არ ყოფილა. ამის შემდეგ, გალში იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, საინტერესოა, მეგრელები როგორ გადარჩითო.

– მიიამბეთ, რატომ გამოიპარეთ საავადმყოფოდან?

– ოპერაციის შემდეგ, კარგა ხანს ყავარჯნით დავდიოდი, ყველგან ნაკერები მქონდა, რკინებით ვიყავი აწყობილი, მაგრამ იქ დარჩენა აღარ მინდოდა და აღარც შეიძლო. ამიტომ, დაბალი ზონიდან გადმოვიპარე. სხვათაშორის, იქ ძალიან ბევრჯერ მითხრეს, იცოდი, რომ ასე მოხდებოდა, რომ ბომბი ჩამოვარდებოდა, დღეს ცოცხალი ამოტომაც ხარ, თქვენ ფული გადაგიხადეს და წინასწარ იყავით გაფრთხილებულებიო. ეგ რომ მართლა მცოდნოდა, ჩემი ოჯახის წევრებით პარკში გავიდოდი? ან, ჩემთვის ვის რატომ უნდა ეთქვა რამე წინასწარ? აქ რომ არ ჩამოვსულიყავი, ფეხი მოსაჭრელი გამიხდებოდა, ამიტომ რაღაცნაირად ჩემი თავისთვის უნდა მიმეხედა. ერთ ექიმს შევეცოდე და ფეხზე მასაჟებს ნახევარ ფასში მიკეთებდა. რამდენიმე დღე ვმკურნალობდი, მაგრამ მერე, საჭმლის ფული აღარ დამრჩებოდა, ამიტომ მაგასაც თავი დავანებე. სიმართლე გითხრათ, აქ იმიტომ წამოვედი, რომ გალში გამუდმებული შიშით ცხოვრება მომბეზრდა, ვიფიქრე, თბილისში ჩემი მთავრობა დამეხმარება, ვიმუშავებ და რაღაცა იქნება-მეთქი, მაგრამ, აბა, რა გამოვიდა? ვინანე კიდეც, საავადმყოფოდან რომ გამოვიპარე და აქ ჩამოვედი. არ დამავიწყდება, აქ რომ მითხრეს, 15 წელი გალში რომ ცხოვრობდიო, მერე კი დააყოლეს, ქართველი არ ხარ, ამიტომ ვერაფერს მიიღებო.

– როგორც ვიცი, გალში ოჯახის წევრები დატოვეთ. მათი იქ ყოფნა ახლა საშიში არ არის?

– ჩემი ძმა ჯარში გაიწვიეს, 5-ჯერ გაიქცა და ხუთივეჯერ დაიჭირეს, ახლაც იმალება. დედაც იქ არის, მაგრამ გარეთ არ გადის, არავის ეკონტაქტება. ერთი პერიოდი აწუხებდნენ, შენი შვილი სად არისო, მაგრამ დედა არაფერს ეუბნებოდა.

– დასახმარებლად, კონკრეტულად, ვის მიმართეთ და გამოიღო თუ არა შედეგი თქვენმა თხოვნამ?

– უკანასკნელი 300 ლარი მქონდა შემორჩენილი, ისიც ნათესავების ნაჩუქარი ფული იყო. ტაქსებით სიარულში დავხარჯე, გზები მე არ ვიცოდი და არაფერი, მაგრამ არავითარი შედეგი არცერთ მცდელობას არ გამოუღია.

პარლამენტში, დაახლოებით, სამი თვის წინ ვიყავი, ბაქრაძეს წერილიც მივწერე. იქ ერთი ქალი დახმარებას დამპირდა, მაგრამ არავინ დამეხმარა, მერე მითხრეს "ზაკვოში" ოთახებს იძლევიანო და აქ მოვედი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროშიც ვიყავი, დახმარება ვითხოვე, გადმომცეს, მინისტრი გიბარებსო. მეც კობა სუბელიანთან მივედი, მაგრამ არ მიმიღო. ერთი კაცი დამხვდა, დევი ერქვა და ოთხი მოადგილე ჰყავდა.

როცა მის კაბინეტში შევედი, ბა-

მანამ მაინც, სანამ თავად დავიწყებ მუშაობას, თუმცა ახლა ისიც არ ვიცი, მომავალში, რა უნდა ვაკეთო.

– ახლა როგორია თქვენი ფიზიკური მდგომარეობა?

– ახლა შედარებით უკეთ დავდივარ, ხელსა და ფეხში რამდენიმე ადგილას ტყვია მაქვს ჩარჩენილი. საავადმყოფოში უნდა წავიდე, რომ ვნახო, რა მდგომარეობაა. მაგრამ მაგის ფული არც მაქვს და ჯერჯერობით, ზუსტად არც ვიცი მომავალში მუშაობას შევძლებ თუ ვერა. ამ ეტაპზე, ფიზიკური მდგომარეობა რომ ნამდვილად არ მიწყობს ხელს, ეგ ცხადია.

– მარიკა, გალში დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?

– არა, არა, რაც უნდა მოხდეს, იქ ნამდვილად არ დავბრუნდები. ისეთი შიში ვნახე, იქ ცხოვრებას ვეღარ შევძლებ. დღე არ გადის, 6 აგვისტო არ გამახსენდეს. ვერც იმას ვივიწყებ, ოპერაციის შემდეგ რკინები უნარკოზოდ რომ ამომიღეს, ახლა კი მეუბნებიან, სად იყავი 8, 9 აგვისტოს, თავის დროზე რატომ არ მოგვაკითხეო. ან კი მაშინ როგორ გადმოვედი, როცა გადმოვედი. 8, 9 აგვისტოს კი საავადმყოფოში უგონოდ ვიწექი. მერე სახლში ვიმალებოდი, გალის აეროპორტთან ახლოს, ყოველი დილის რვა საათზე შიშით ვკანკალებდი იმიტომ, რომ 4, 5 ბომბდამშენი მაინც ჯდებოდა და მერე, ქალაქის თავზე დაფრინავდა, მე კი ვიჯექი, ტკივილებისგან ვიტანჯებოდი და ვმკითხაობდი, ჩამოაგდებდა თუ არა ბომბს თვითმფრინავი. სკამზე რომ ვჯდები, სკამის ქვეშ ვიყურები, დანაღმული არ იყოს-მეთქი, კარზე რომ ვიღაც აკაკუნებს, იმას ვფიქრობ, ვინმე არ შემომივარდეს და რამე არ დამიშავოს მეთქი და, როგორ ფიქრობთ, გალში დაბრუნებას შევძლებ ოდესმე?

ესაუბრა
მაკა ფანქველაძე

გაზეთი "ილორი" ხსნის რუბრიკას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც მოგითხრობთ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ნაწილებზე.

ამჯერად, მოგითხრობთ მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე ფეხბურთში, რომელიც 1930 წელს გაიმართა ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) კონგრესზე, რომელიც 1929 წელს გაიმართა, გადაწყდა, რომ მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ფეხბურთში გაიმართებოდა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, კერძოდ კი ურუგვაიში. ამ ქვეყანამ იტალიასთან, შვედეთთან, ჰოლანდიასთან, ესპანეთსა და უნგრეთთან შედარებით მოიპოვა მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი უპირატესობები. ფეხბურთის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ურუგვაიმ დამსახურებულად მიიღო ეს უფლება, ვინაიდან ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები გახლდათ 1924-1928 წლების ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი.

მსოფლიო ჩემპიონატის ყველა თამაში გაიმართა ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში, რაც ერთადერთი შემთხვევა გახლდათ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში.

მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე, გაურკვეველი მიზეზების (ალბათ, უფრო, წყენის) გამო, უარი განაცხადეს ესპანეთმა, იტალიამ, უნგრეთმა, ავსტრიამ, გერმანიამ, ჩეხოსლოვაკიამ და შვეიცარიამ. ინგლისი კი საერთოდ თვლიდა, რომ მსოფლიო ფეხბურთში მას კონკურენციას ვერავინ გაუწევდა და მისი ნაკრები ამიტომ არ ჩავიდა ურუგვაიში. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატს ღირსება შემატა მასში საფრანგეთის, იუგოსლავიის, ბელგიისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების მონაწილეობამ.

1930 წლის 29 ივნისს გუნდები ბრაზილიაში გემებით გაემგზავრნენ, სადაც მათ შეუერთდა ბრაზილიის ეროვნული ნაკრები და ყველანი ერთად 4 ივლისს ჩავიდნენ მონტევიდეოში. აქ გაირკვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებდა 13 გუნდი, რომელიც 4 ქვეჯგუფად დაყვეს.

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი მატჩი გაიმართა 1930 წლის 13 ივლისს, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და მექსიკის ეროვნული ნაკრებები. ფრანგებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1. სწორედ ამ მატჩში გავიდა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი გოლი, რომელიც მატჩის მე-19 წუთზე გაიტანა ფრანგმა ლუსიენ ლორანმა.

პირველი ნახევარფინალური საგზურები მოიპოვეს არგენტინის, იუგოსლავიის, ურუგვაის და აშშ-ს ნაკრებებმა.

პირველ ქვეჯგუფში არგენტინელებმა საკმაოდ იოლად გადალახეს ბარიერი, მეორე ქვეჯგუფში კი გაიმარჯვეს იუგოსლავიელებმა. შემდეგ ნახევარფინალში გავიდნენ ამერიკელები, რომელთა შორის თავი გამოიჩინეს თავდამსხმელებმა მაკგიმ და პეიტნოდმა, რომელთაც პირველებმა გაიტანეს 3-3 ბურთი და შეასრულეს **"ჰეტ თრიკი"**.

მეოთხე ნახევარფინალისტის საგზური მოიპოვა ჩემპიონატის მასპინძელმა – ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრებმა.

ნახევარფინალურ მატჩებში ურუგვაისა და არგენტინის ნაკრებებმა ერთნაირი ანგარიშით 6:1 **"გაანადგურეს"** ამერიკის შეერთებული შტატებისა და იუგოსლავიის გუნდები.

ფინალური მატჩი ურუგვაისა და არგენტინას შორის გაიმართა 1930 წლის 30 ივლისს. მატჩს 60.000 მაყურებელი ესწრებოდა, რაც მაშინ გულშემატკივართა სარეკორდო რაოდენობა გახლდათ.

მატჩის პირველ ტაიმს არგენტინელები

იგებდნენ ანგარიშით 2:1. მეორე ტაიმში კი ურუგვაიმ **"თავს ზემო ძალა"** მოიკრიბა და 4:2 მოუგო მოწინააღმდეგეს. ამ მატჩში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ურუგვაელმა ფეხბურთელმა **ჩეამ**, რომელმაც სამი გოლი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

ეს გახლდათ მართლაც **"ძლევაი საკვირველი"**. რამდენიმე დღე ზეიმობდნენ ურუგვაელები **"დაუჯერებელ"** გამარჯვებას, ხოლო ურუგვაის პრეზიდენტმა 31 ივლისი ქვეყნის ნაციონალურ დღესასწაულად გამოაცხადა.

ურუგვაელებმა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი შემდეგი შემადგენლობით მოიგეს: მეკარე – **ენრიკო ბალესტერეროსი**, მცველები: **ხოსე ნაზაცი და ერნესტო მასკერონე**, ნახევარმცველები: **ხოსელეანდრო ანდრადე, ფოორენტო ფერნანდესი და ალვარო პესტიდო**, თავდამსხმელები: **ანდრადე, პაბლო დორადო, ექტორ სკარინე, ექტორ კასტრო, პედრო ჩეა და სანტოს ირიარტი**.

გუნდის მწვრთნელი გახლდათ ფიგოლი.

ეს მართლაც დიდი დღესასწაული იყო ურუგვაის ისტორიაში. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი 8 გატანილი გოლით გახდა არგენტინელი **გილერმო სტაბილე**.

ფეხბურთში 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დაედო სათავე მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების შექმნის ტრადიციას, რომელშიც შევიდნენ: მეკარე – **ტეპო** (საფრანგეთი), **ნაზაცი, მასკერონე, ანდრადე** (ურუგვაი), **პეუსელე** (არგენტინა), **სკარონე** (ურუგვაი), **სტაბილე, ფერეირა** (არგენტინა), **სეა, ირიარტე, კასტრო** (ურუგვაი).

პირველი ფინალური მატჩის პირველი მსაჯი გახლდათ ბელგიელი **ლანჟენიუ**.

გიორგი ჯალაღანია

იმის გამო, რომ აფხაზეთიდან დევნილები არაადამიანურ პირობებში ცხოვრობენ და ეს დიდად არ აღელვებს ხელისუფლებას, იმის გამო, რომ წყნეთიდან 5.000 დევნილს უპირებენ გამოსახლებას, უკვე თითქმის ერთი თვეა დაბა წყნეთში შიმშილობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ საჯაია.

მისი მოწოდებებია:

– მალე სხვების გამოსახლების ჯერიც დადგება!
– დევნილები უნდა გავერთიანდეთ და წინ აღვუდგეთ ხელისუფლების გულგრილობასა და თვითნებობას!

– შინ დაბრუნებამდეც ვიცხოვროთ ღირსებით!

– ნუ მოვატყუებინებთ თავს ხელისუფლებას!

იუმორი

– მეგრელმა ზანგი დაინახა და ამხანაგს ჰკითხა:
– ვინ არის, ძუკუ, ეს შავი კაცი?
– ეგ ალჟირელი ლტოლვილია!
– ვავა, ჩქიმშენი! ალჟირიც დავკარგეთ, კაცო?

შინ გვიან დაბრუნებულ კაცს ცოლი ეჩხუბება:
– სად ეგდე დილამდე?
– მეგობრებთან ჭადრაკს ვთამაშობდი!
– მერე, არყის სუნი რატომ აგდის?
– შენ რა, გინდა რომ ჭადრაკის სუნი ამდიოდეს?

ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:
– სად მოეწერა ხელი გეორგიევსკის ტრაქტატს?
მოსწავლე პასუხობს:
– 177-ე გვერდზე...

თქვენს სამსახურშია გამოცდილი იურისტი
გიორგი ქოიავა,
რომელიც გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, ნებისმიერ დროს გაუწიოს უფასო იურიდიული კონსულტაცია დევნილ მოსახლეობას.
ბატონი გიორგი ქოიავა წლების განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასამართლოს ორგანოებში, იყო აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, აქვს საადვოკატო მუშაობის დიდი გამოცდილება, ამჟამად არის პოლიტიკური გაერთიანება "ჩვენი აფხაზეთის" მთავარი საბჭოს წევრი.

ისარგებლეთ მისი მომსახურეობით.
კოორდინატები: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 147-ა.
ტელ. 899-173-172

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

გაგნიძის პრეპარატი არჩენს

ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, ყურ-ნაწლავის გაუვალობას, ჯოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელების დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმელში, ჰეპატიტს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, გაიმორიტს, სისხლის გათეთრებას, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცერეზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, ჯლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას, ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.

კოორდინატებია:

თელავი, კავკასიონის ქუჩა №61-ბ,
გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).
ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24
თბილისი, წინამძღვრიშვილის 120
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს, 10-დან 14 საათამდე).

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართია:
თბილისი,
ტაბიძის ქუჩა №23

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციამ შესაძლოა გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებს

anaklia@.web.de
e-mail:elisabetthal@.yahoo.de